# მესხეთის უნივერსიტეტი

№ 6-7 (263) ივნისი-ივლისი, 2019 წელი

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან




# „უნივერსიტეტი არ გემშვიდობებათ, უნივერსიტეტი კვლავ გელით!“

გვ.3

მაკა ბერიძე:

თქვენ ძალიან მნიშვნელოვანი სტატუსი მიიღეთ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის სტატუსი, რომელიც, მერწმუნეთ, ძალიან საამაყოა. ეს სტატუსი, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, გიხსნით გზას არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში. სადაც არ უნდა წახვიდეთ, გახსოვდეთ, თქვენ უკან თქვენი უნივერსიტეტია, რომელმაც უნდა იამაყოს თქვენი ნებისმიერი წინსვლით, გაიზიაროს თქვენი ნებისმიერი წარმატება, რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ უნივერსიტეტი სწორად ვითარდება და სწორი გზით მიდის. გთხოვთ, აქტიურად ჩაერთეთ, როგორც კურსდამთავრებულები, სასწავლო პროგრამების შედგენაში, იყავით აქტიურები უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უნივერსიტეტი არ გემშვიდობებათ, უნივერსიტეტი გელით ახალი სტატუსით!

# განვავითაროთ ერთად

**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გაერთიანებულ, გაფართოებულ სხდომაზე, 6 ივნისს, უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ბერიძემ განსახილველად წარმოადგინა 2018 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში. გთავაზობთ ანგარიშის შემოკლებულ ვერსიას.**

**რექტორის** ანგარიში მოიცავს პერიოდს 2018 წლის თებერვლიდან 2019 წლამდე, ესე იგი, ერთწლიან პერიოდს. თქვენ წინაშე მოხსენების წარდგენა გვინდა დავიწყოთ მადლობით იმ ადამიანების მიმართ, რომელთა ანგარიშებიც მივიღე. გავეცანით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ანგარიშს, გავიაზრეთ მუშაობის ფორმატი და სპეციფიკა. იმედი მომცა 2018 წელს თქვენ მიერ გაწეულმა საქმიანობამ. ვეცადეთ, დღევანდელ ანგარიშში ავსახოთ არა თქვენ მიერ წარმოდგენილი სტატისტიკა, არამედ მათ საფუძველზე ჩვენეული ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნები.

მოკლედ აღგიწერთ ანალიზის პროცესს, რომელიც ორ ეტაპად შეიძლება გავყოთ. პირველი ეტაპი, რითიც დავიწყეთ, გახლდათ საქმიანობის შეფასების შედეგად შიდა მაჩვენებლების ანალიზი. შეფასების შიდა მექანიზმები ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო, თუმცა, რექტორის პოზიციიდან თითოეულ სამსახურთან ცალკე შეხვედრებმა პრობლემები კიდევ უფრო სხვაგვარი კუთხით დაგვანახა.

მეორე, ეს იყო გარეშეფასებების მაჩვენებელი. გარეშეფასებებისთვის ჩვენ გავმართეთ შეხვედრები უნივერსიტეტის გარეთ, ჩატარებულია 37 შეხვედრა. ეს შეხვედრები გახლდათ სხვადასხვა ფოკუსჯგუფთან – დაწყებული რესურსცენტრების ხელმძღვანელებიდან, სკოლების დირექტორებიდან, ექვსივე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობიდან, სამხარეო ადმინისტრაციიდან, დამთავრებული დეპუტატებით. ეს შეხვედრების ერთი ნაწილია, მეორე მხარე გახლდათ შეხვედრები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტთან, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებთან. მათი კონსულტაციები ჩვენი საქმიანობისთვის ფასდაუდებელი იყო. საქმიანობის დასაწყისშივე ჩვენ კარგად უნდა გვცოდნოდა, როგორ გვაფასებდნენ გარეთ, რა მოლოდინები ჰქონდათ უნივერსიტეტისგან. თითოეული შეხვედრის ანალიზი ცალკე ანგარიშის თემაა.

*გაგრძელება მე-2 გვ.*

## საუნივერსიტეტო წინსვლისა და პროგრესის შესახებ

გვ.4

## ნიკოლოზ ახალკაცი: მთავარია - შრომა, შრომა და შრომა!

გვ.5



## ჯონი ყაუხჩიშვილი: „გარე სამყაროსთან მოწყვეტა ნიშნავს ჩაკეტვას, ურთიერთობა კი – ზრდას“

გვ.6

## როინ ბერიძის გამარჯვებული პროექტი

გვ.8



## წიგნის პრეზენტაცია

## „ასპინძა და ასპინძელობა“

გვ.7





გვ.9

## საჯარო ლექცია ასპინძის ციხის ტერიტორიაზე



## ამირან გოგოლაძე – M1GLOBAL-ის რეკორდსმენი!

გვ.10

გვ.12

## კვლავ დავბრუნდები



## წარსულის ნაკვალევზე...



# განვავითაროთ ერთად

2019 წლის მთავარი გამოწვევა საავტორიზაციო განაცხადის მომზადება და წარმატებული ავტორიზაცია უნდა იყოს – ამის გააზრებამ განაპირობა 2018 წლის სამოქმედო გეგმა. ჩვენი ამოცანა გართულდა იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წლის იანვარში ძალაში შევიდა ახალი სტანდარტები როგორც აკრედიტაციის, ისე ავტორიზაციისა. თუ სხვა შემთხვევაში აქცენტს ავილებდით ლოკალური პრობლემების პრაგმატულ გადაწყვეტაზე, ამის გათვალისწინებით, ანუ უნივერსიტეტის წინაშე არსებული გამოწვევის გათვალისწინებით, ავტორიზაციის პროცესი გახდა პრიორიტეტი. საავტორიზაციო განაცხადს ჩვენ განვიხილავთ, როგორც შედეგს და არა როგორც მიზანს. შესაბამისად, შედეგისთვის, თანაც აუცილებლად წარმატებული შედეგისთვის, საჭირო არის არა მხოლოდ შინაარსის გათვალისწინება, არამედ ფორმის მისადაგებაც.

რა არის ჩვენთვის ყველაზე მეტად ფასეული წარმოდგენილი ანგარიშიდან? ის, რომ ჩვენ მიერ ჩამოთვლილი პუნქტებიდან ბევრი რამ თქვენთვის იქნება ნაცნობი. იმ შედეგებზე, რომელზეც დღეს ვისაუბრებ, ის წარმატებები თუ წარუმატებლობები (მე ვფიქრობ, უფრო მეტი წარმატება), ჩვენ ერთობლივად გვაქვს მიღწეული. ამიტომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ – ეს ჩვენი საქმიანობის ანგარიშია. მადლობას მოგახსენებთ ამისთვის.

აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წელს ჩატარებულია 18 სხდომა. მიღებულია 59 დადგენილება. ხაზს გავუსვამ – სხდომაზე დადგენილებები მიღებულია ერთხმად. საბჭოს წევრები ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანები არიან, განსხვავდება ჩვენი ხედვებიც. მე მგონია, რომ, მიუხედავად ჩვენი განსხვავებული პოზიციისა, თუ ჩვენ 43 დადგენილებაზე შევძელით შეთანხმება, ვფიქრობ, გვაქვს რესურსი, ვმართოთ უნივერსიტეტი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და აკადემიური საბჭოს თითოეულ წევრს ამის გამო მადლობას ვუხდი.

უნივერსიტეტის ფუნქციონირება მისი მისიის გააზრებით იწყება. 2018 წლის განმავლობაში, ჩვენ ერთად შევიმუშავეთ უნივერსიტეტის მისიის განახლებული ვერსია, გავითვალისწინეთ უცვლელი და შესანარჩუნებელი ღირებულებები, მუდმივი პრიორიტეტები მივუსადაგეთ თანამედროვე საჭიროებებს, მოთხოვნილებებს. მისიამ საბოლოოდ მიიღო ჩამოყალიბებული სახე.

მეორე უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ უნივერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება. თქვენ ჩართულები იყავით ამ სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში. ამ ეტაპზე დასრულებულია შვიდწლიანი გეგმისთვის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა, თითოეული სტრატეგიული ამოცანა ჩამოყალიბებულია, დაკონკრეტებულია თითოეული ამოცანის მიღწევის აქტივობები, განსაზღვრულია თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა, მონიტორინგის პერიოდულობა და რეაგირების მექანიზმები. ამჯერად, მიმდინარეობს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბება, ფინანსური რესურსების განსაზღვრით და დაზუსტებით.

სტრატეგიულ გეგმაში გამოიყო შემდეგი პრიორიტეტები: კვლევა, სწავლა-სწავლება, მართვა, რესურსები და ინტერნაციონალიზაცია. დავიწყოთ კვლევითი სფეროთი. ვიცით, რომ ორი წლის განმავლობაში, აკადემიურმა პერსონალმა უნდა გამოაქვეყნოს ნაშრომი სამეცნიერო ბაზაში განთავსებულ საერთაშორისო ჟურნალებში. მე ძალიან მახარებს, რომ ხუთი ნაშრომი უკვე მზად გახლავთ. ვიცი, რომ ამას კიდევ დაემატება და ჩვენ მივესალმებით პროფესურის ამ მზაობას. ეს არის კარგი მხარდაჭერა, რომელიც უნივერსიტეტს წაადგება. გავითვალისწინეთ სხვა უნივერსიტეტების წარმატებული გამოცდილება, შევქმენით რეგულაციები, რომლებიც მკვლევარს შესაძლებლობას აძლევს კვლევის განსახორციელებლად.

შიდა სამეცნიერო გრანტის ფარგლებში დასრულებულია ორი პროექტი. გაცხადებულია ახალი სამეცნიერო გრანტისთვის პრიორიტეტული მიმართულება. ეს გახლავთ აგრარული მეცნიერებები და გრანტიც გამოცხადებულია.

სამეცნიერო საქმიანობა წარმოუდგენელია იმ ფაქტორის გათვალისწინების გარეშე, რომელსაც პლაგიატი ჰქვია. ერთმნიშვნელოვანი იყო ERASMUS+-ის პროექტის ფარგლებში მიმდინარე პროექტი, რომელიც იყო აკადემიური კეთილსინდისიერების ხელშემწყობი. მინდა ვთქვა, რომ ERASMUS+-ის პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია ორი მთავარი კუთხით. ეს არის როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მატერიალური დახმარებაა ისეთი ბიუჯეტის მქონე უნივერსიტეტისთვის, როგორიც ჩვენი უნივერსიტეტია, მეორე – შინაარსობრივი კუთხით, რომელიც გვთავაზობს სიახლეებს და კადრების გადამზადების კუთხით გვაძლევს საშუალებას, სხვათა გამოცდილება მოვიტანოთ და დავნერგოთ. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პლაგიატის შესახებ რეგულაციების შემუშავება ევროპის უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით. ჩვენ დაველოდებით პროცესის დასრულებას.

მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა პერსონალის, სტუდენტების სამეცნიერო ბაზებში რეგისტრაციის პროცესი. რა თქმა უნდა, ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს, სანამ სრულად არ ამოიწურება. ეს დასაწყისია. პარალელურად უნდა განვითარდეს და მოვიცვათ ჩვენი ყველა პროფესორ-მასწავლებელი, მოწვეული პერსონალი. მივესალმებით იმას, რომ გაგრძელდეს სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების ტრადიცია აკადემიური პერსონალისთვის, ასევე, სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით – დოქტორანტებისათვის. გვჭირდება კვლევის ფოკუსის დაზუსტება.

გადავიდეთ სასწავლო პროცესზე. მოგეხსენებათ, სწავლა-სწავლების პროცესი ჩვენი საქმიანობის ძირითადი პროცესია და ეს საგანმანათლებლო პროგრამებს ეფუძნება. აკრედიტაცია გაიარა შვიდმა საგანმანათლებლო პროგრამამ. საინტერესო გახლავთ ის, რომ მომზადებულია კიდევ რამდენიმე პროგრამა, მათ შორის, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა. პროგრამამ გაიარა ბევრი ეტაპი. ვცდილობთ, მოვასწროთ, პროგრამის ასახვა მოხვდეს ანკეტა-კითხვარში.

30 წელია, სახელმწიფო უნივერსიტეტი არსებობს სამცხე-ჯავახეთში, სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს გარკვეული მისია და გარკვეულ პრობლემებს წყვეტს. ეს არის ერთი საკითხი, მაგრამ ჩვენ ძალიან სერიოზული გამოწვევა გვაქვს. ეს გამოწვევაა კონკურენცია. ვერ გავძლებთ, თუკი სახელმწიფოსგან სერიოზული მხარდაჭერა არ გვქონდა. ჩვენ უნდა გავხდეთ საჭირო სახელმწიფოსთვის. აგრარული მიმართულების პროგრამების აკრედიტაციის შემდეგ, პირობითი აკრედიტაციის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ არ გვაქვს ლაბორატორიები. 2018 წელი ამ კუთხითაც გახლდათ გარდამტეხი. ლაბორატორიები გაკეთდა, მიმდინარეობს მათი აღჭურვა. ჩვენ გვექნება საკუთარი ვეტერინარული კლინიკა. ვეტერინარული კლინიკის კეთილმოწყობისთვის, ფინანსურ რესურს ვეძიებთ, ნაწილი უნივერსიტეტის იქნება.

კიდევ რამდენიმე ახალი პროგრამის პერსპექტივა ჩნდება, ეს არის სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამა, 300 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამა, რომელსაც სერიოზული პერსპექტივა აქვს, შეითავსოს მათემატიკის მიმართულება, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულება, ფიზიკის, ქიმიის მიმართულებები.

ყოველთვიურად ვხვდებით სტუდენტებს „რექტორის საათის“ ფარგლებში. ეს არის საინტერესო დრო, როდესაც გახსნილად მესაუბრებიან სტუდენტები პრობლემებზე. ვიცნობთ პერსონალის მხრიდან დანახულ პრობლემებს. ჩვენ შევთანხმდით და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ავამოქმედოთ მუდლის პროგრამა. გააქტიურდით, გააკეთეთ ყველაფერი მუდლის პროცესის სასწავლო პროგრამებში ჩასართავად. საჭიროა პერსონალის მუდმივი ჩართულობა, ამიტომ ამ პროცესს არ მივიჩნევთ დასრულებულად.

მოგახსენებთ 2018 წლის ჩარიცხვის მაჩვენებლებს. 314 ბაკალავრი ჩაირიცხა უნივერსიტეტში, 210 – ეროვნული გამოცდებით, ქართული ენის მომზადების პროგრამა დაამთავრა და ბაკალავრიატში გადავიდა 65 სტუდენტი. ამჟამინდელი მონაცემებით 589 აბიტურიენტია დარეგისტრირებული. 589 ადამიანს უნდა ჩაბარება პირველი დასახელებით ჩვენს უნივერსიტეტში. 600-მდე სტუდენტს უნდა, რომ ჩვენთან მოვიდეს. არ ვამბობთ, რომ ეს არის განსაკუთრებულად ბევრი, მაგრამ არც ცოტაა. შარშან ჩავატარეთ კვლევა ჩაჭრილი აბიტურიენტების საჭიროებების დასადგენად. აღმოჩნდა, რომ სტუდენტთა 60 პროცენტმა ჩაჭრილებიდან ვერ გადალახა ბარიერი უნარებში, ან ინგლისურში. მივიღეთ გადაწყვეტილება და მადლობა ყველას, ვინც მხარი დაგვიჭირა, რომ მოგვემზადებინა აბიტურიენტები. უწყვეტი განათლების ცენტრში, აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსებზე 104 მსმენელი დაფიქსირდა, 77 – ახალციხეში, 27 – ადიგენში. გაიხსნა ქართული ენა-ლიტერატურის, ზოგადი უნარების, უცხოენების, ისტორიისა და გეოგრაფიის კურსები.

თქვენ იცით, რომ პროფესიული განათლების მიმართულებას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. მიღებულია გადაწყვეტილება და ასახულია კიდეც ჩვენს სამოქმედო გეგმაში, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო



უნივერსიტეტში გაიხსნას პროფესიული განათლების დეპარტამენტი ან ცენტრი. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებულია პროფესიულ პროგრამათა ნუსხა, რომელსაც განვახორციელებთ ჯავახეთში. ეს პროგრამებია: სატყეო საქმე, საბაჟო საქმე, სოფლის მეურნეობა, ვეტერინარია, ავტომობილთა შეკეთება, რძისა და ხორცის პროდუქტების დამუშავება. გვინდა მოგახსენოთ წლის საუკეთესო სიახლის შესახებ. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კორპუსი ახალქალაქში სრულად იქნება რეაბილიტირებული და ამისთვის სახელმწიფო დაფინანსება გამოყოფილია. დაწყებულია პროექტის მომზადების სამუშაოები.

შემდეგი საკითხი – ზოგადად საგანმანათლებლო გარემო. მე მივესალმები ჩვენი პროფესურისგან მზარდ მოთხოვნას, რომელიც ნამდვილად უნდა დავაკმაყოფილოთ. ყველა აუდიტორია უნდა აღიჭურვოს ტექნოლოგიებით. გამოიყენებს თუ არა ამას პროფესორი, ეს მისი პირადი საქმეა. მერე შიდა კონკურენცია გადაწყვეტს გარკვეულად საკითხებს.

შემდეგი საკითხი სტუდენტური ცხოვრების გაჯანსაღება და სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებით მიღებული ბევრი კარგი რეგულაციაა. ყველაზე მთავარი – ჩვენი სტუდენტური თვითმმართველობა გაერთიანდა საქართველოს თვითმმართველობათა ასოციაციაში და მისი ძალიან აქტიური წევრია. ახალქალაქის განვითარების ფონდში უნივერსიტეტმა წარადგინა პროექტი, რომელიც სპორტული ინვენტარით აღჭურვის საშუალებას მოგვცემს ახალქალაქში. პროექტმა წარმატებით გაიარა ყველა ეტაპი და გადასულია დასკვნითზე.

უნივერსიტეტს სოციალური კუთხით ღონისძიებების გრძელი ჩამონათვალი აქვს. ისმის ორი კითხვა, რომელსაც გვსურს გავცეთ პასუხი. კითხვა პირველი – გაუქმდება თუ არა ახალქალაქში საბაკალავრო პროგრამები. ცალსახად აღვნიშნავთ– ამ ხედვით, დღევანდელი ვითარებით, არასდროს დაგვისვამს საკითხი ახალქალაქში საბაკალავრო პროგრამების ფუნქციონირების შეწყვეტის შესახებ. შეიძლება გადაჭარბებად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს ფაქტია – ჩვენს კუთხეზე, ჩვენს მხარეზე უნივერსიტეტს განსაკუთრებით ეთქმის სიტყვა. ნდობა არსებობს, ეს ნდობა ჩემი დამსახურება არ არის, თუმცა ვცდილობთ, არ გავაცრუოთ იმედები. გვინდა, რაც არის, ის კიდევ უფრო განვავითაროთ და კიდევ უფრო შორს წავიდეთ.

ძალიან მნიშვნელოვანი კითხვაა ხელფასებთან დაკავშირებული პერსპექტივის შესახებ. საკითხი ყველას აინტერესებს. ვფიქრობთ, რომ 2020 წლის ბიუჯეტი უნდა იყოს ორიენტირებული ხელფასების მატებაზე. რა რესურსიდან გამომდინარე? ამოქმედდება პროფესიული პროგრამები, გარკვეული რესურსი გამოთავისუფლდება, ასევე ავტორიზაციის პროცესებთან დაკავშირებული სოლიდური ხარჯების თანხაც არ იქნება 2020 წლის ბიუჯეტში. ეს მოგვცემს საშუალებას, მცირე პროცენტით ვიფიქროთ ხელფასების ზრდაზე.

აქვე გაირკვევა უნივერსიტეტების დაფინანსების საკითხიც. დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონული სპეციალიზაცია ზუსტად გვაქვს განსაზღვრული. დაფინანსების ახალ სისტემას რაც უფრო მომზადებულები შევხვდებით, მეტი რესურსის მოპოვებას შევძლებთ. დღეს არსებული კრიტერიუმებით კარგად გვაქვს საქმე აკრედიტებული პროგრამების კომპონენტში, როგორც მოგახსენეთ, განსაზღვრული გვაქვს რეგიონული სპეციალიზაციაც. აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის კუთხით უნივერსიტეტში ჩატარდა გარკვეული ღონისძიებები, ტრენინგები. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გვინდა მოგახსენოთ და ერთ საკითხს განსაკუთრებით გავუსვათ ხაზი, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. 2018 რექტორის პოზიციაზე ჩვენი საქმიანობის პირველი წელია და სხვა ფასი ჰქონდა თქვენს თანადგომას. ჩვენ გვჯერა, რომ თითოეულ ჩვენგანში არის რესურსი, რასაც სჭირდება განვითარება. განვავითაროთ ერთად.



# „უნივერსიტეტი არ გემშვიდობებათ, უნივერსიტეტი კვლავ გელით!“



**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულები გააცილეს. 24 ივნისს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა და იურიდიული ფაკულტეტების, 26 ივნისს კი, უნივერსიტეტის II კორპუსში, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ცერემონია გაიმართა. სასწავლო წელი ჰუმანიტარული და იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხური 210-მა, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირებისა და ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხური 80-მა სტუდენტმა დაამთავრა. საზეიმო განწყობა უნივერსიტეტში დილიდანვე შეიმჩნეოდა. მანტიებში გამოწყობილი ახალგაზრდები პროფესორ-მასწავლებლებთან, მეგობრებთან სამახსოვრო ფოტოსურათებს იღებდნენ და ელოდნენ ყველსათვის ნანატრს – ქუდების ცაში ასროლის დროს. საზეიმო განწყობა კიდევ უფრო აამაღლა დამკვიდრებულმა ტრადიციამ, რომელიც წარმატებული კურსდამთავრებულებისათვის მოხალისე ლექტორების სტატუსის მინიჭებას გულისხმობს. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან მოხალისე ლექტორის წოდება მიენიჭა **ციცინო მჭედლიძეს,** იურიდიული ფაკულტეტიდან **– ფიქრია ჯავახაძეს,** ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან **– ნათია ნადირაძეს,** ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტიდან **– თამარ ხალაძეს.**

მოხალისე ლექტორების სტატუსმინიჭებულ კურსდამთავრებულებს სიგელები გადასცა ამ იდეის ავტორმა, უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ.** ციცინო მჭედლიძე, ფიქრია ჯავახაძე, ნათია ნადირაძე, თამარ ხალაძე სექტემბერში პირველკურსელებს პირველ ლექციას ჩაუტარებენ. კურსდამთავრებულებმა მოისმინეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 ოქტომბერს მიღებული ოფიციალური დალოცვის ტექსტი, კურსდამთავრებულთა ჰიმნი და რექტორის ბრძანებაზე – **„ქუდები ცაში“,** სტუდენტობის ხანას დაემშვიდობნენ.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა და იურიდიული ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ცერემონია უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ გახსნა და პირველი კორპუსის ეზოში, გრიგოლ ხანძთელის ძეგლთან შეკრებილ საზოგადოებას მიმართა. მან აღნიშნა, რომ სულ ცოტა ხანში ეს ახალგაზრდები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხმინიჭებული კურსდამთავრებულები გახდებიან. მიულოცა თითოეულ მათგანს უნივერსიტეტის ღირსეულად დამთავრება და წარმატებები უსურვა: **ვულოცავ თითოეულ სტუდენტს ამ დღეს. ვულოცავ საინტერესოდ, სასარგებლოდ გატარებული ოთხი წლის ღირსეულ დასასრულს. გისურვებთ, რომ თქვენი ცხოვრების გზა ყოფილიყოს ისეთი, როგორიც ეკადრება თითოეულ თქვენგანს, როგორიც ეკადრება იმ უნივერსიტეტს, რომელიც დაასრულეთ, იმ ქვეყანას, რომლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომსაც აიღებთ და არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს მასშტაბით ხმამაღლა განაცხადებთ, რომ თქვენ ამ უნვერსიტეტის კურსდამთავრებულები ხართ.**

კურსდამთავრებულებს მიესალმნენ ფაკულტეტების დეკანები – განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი **გულიკო ბექაური** და იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **მალხაზ ლომსაძე.**

ქალბატონმა გულიკომ მიულოცა ახალგაზრდებს უნივერსიტეტის დამთავრება და სადიპლომო ნაშრომების განსაკუთრებით წარმატებულად დაცვისთვის მადლობა მოახსენა **ლელა თელიაშვილს, ქრისტინა გაბიანსა** და **დიანა ვედიაკოვს.** აღნიშნა, რომ ეს დღე ემოციის გარეშე წარმოუდგენელია. **ოთხი წლის წინ, როდესაც მობრძანდით განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ბევრი თქვენგანი ფიქრობდა, რამდენად სწორად აირჩია პროფესია. მინდა, რამდენი სტუდენტიც აქ ბრძანდებით, ყველას ცნობიერებაში იყოს სიტყვები – „გამიმართლდა მოლოდინი“ და ეს მოლოდინი გაამართლა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. მე მჯერა თქვენი მომავლის, თქვენი წარმატების. თქვენი შესაძლებლობები ძალიან დიდია და იმედი მაქვს, რომ ამ შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოიყენებთ რეგიონის, ოჯახების, ჩვენი ქვეყნისა თუ თქვენი პიროვნული კეთილდღეობისთვის.**

მალხაზ ლომსაძემ მისასალმებელი სიტყვა დაიწყო ჩინელი ფილოსოფოსის კომფუცის ბრძნული აზრით: **აირჩიეთ საყვარელი საქმე და ერთ დღესაც არ მოგიწევთ მუშაობა. აქ იგულისხმება, რომ დაუღალავ შრომაში სიამოვნებას მოგანიჭებთ საყვარელი საქმის კეთება. ვიცი, რომ თქვენ გააზრებულად აირჩიეთ პროფესია. წინ უფრო დიდი გამოცდა გელით. მინდა გისურვოთ წარმატებები პროფესიულ საქმიანობაში.**

პროფესორ-მასწავლებლებს მადლობა მოახსენა ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულმა **ეთერ მაღრაძემ.** მეგობრებს, თანაკურსელებს მიულოცა უნივერსიტეტის დამთავრება და ცხოვრების ახალ საფეხურზე წარმატებები უსურვა.

ასეთივე საზეიმო განწყობით გაიმართა 26 ივნისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსში ბიზნესის ადმინისტრირებისა და ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ცერემონია. პავლე ზაზაძის საკონფერენციო დარბაზში შეკრებილ კურსდამთავრებულებს, მათ მშობლებს, მეგობრებსა და პროფესორ-მასწავლებლებს უნივერსიტეტის რექტორი მაკა ბერიძე მიესალმა. რექტორმა აღნიშნა, რომ ეს დღე არის სტუდენტთა მომავალი ცხოვრების დალოცვის, წარმატებებისკენ მათი წინსვლის, სამშობლოს სამსახურისთვის – უკვე როგორც პროფესიონალების, რიგში ჩადგომის დღე. ქალბატონმა მაკამ კურსდამთავრებულებს უთხრა, რომ ისინი ისეთივე სრულფასოვანი წევრები არიან უნივერსიტეტის, როგორც სტუდენტები. ამიტომ, მათ უნივერსიტეტთან ნებისმიერი ფორმით თანამშრომლობა სთხოვა. **თქვენ ძალიან მნიშვნელოვანი სტატუსი, მიიღეთ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის სტატუსი, რომელიც, მერწმუნეთ, ძალიან საამაყოა. ეს სტატუსი, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, გიხსნით გზას არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში. სადაც არ უნდა წახვიდეთ, გახსოვდეთ, თქვენ უკან თქვენი უნივერსიტეტია, რომელმაც უნდა იამაყოს თქვენი ნებისმიერი წინსვლით, გაიზიაროს თქვენი ნებისმიერი წარმატება, რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ უნივერსიტეტი სწორად ვითარდება და სწორი გზით მიდის. გთხოვთ, აქტიურად ჩაერთეთ, როგორც კურსდამთავრებულები, სასწავლო პროგრამების შედგენაში, იყავით აქტიურები უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უნივერსიტეტი არ გემშვიდობებათ, უნივერსიტეტი გელით ახალი სტატუსით!**

ახალგაზრდებს მიესალმნენ, აგრეთვე, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი **ლერი ნოზაძე** და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **ცისკარა ზარანდია.**

**ჩვენო ძვირფასო ახალგაზრდებო, თქვენ ოთხი წელი გაატარეთ უნივერსიტეტში. მიგვაჩნია, რომ მზად ხართ, გახვიდეთ ცხოვრების ახალ საფეხურზე. მინდა, რომ გზა დაგილოცოთ. რა ცოდნაც მიიღეთ უნივერსიტეტში, ეს იყოს საწინდარი თქვენი შემდგომი წარმატებებისა. გელით უფრო მაღალ რანგში – მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე. ვულოცავ თქვენს მშობლებს დღევანდელ დღეს, თქვენს პედაგოგებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით თქვენს პროფესიულ დაოსტატებაში, კარგ ადამიანებად ჩამოყალიბებაში. გისურვებთ წარმატებებს.** – აღნიშნა ლერი ნოზაძემ.

ბატონმა ცისკარამ შემდეგი განაცხადა: **მოგესალმებით, ძვირფასო სტუდენტებო. მინდა მოგილოცოთ დღევანდელი დღე. განვლილმა ოთხმა წელიწადმა თქვენს ცხოვრებაში კიდევ ერთი ეტაპი ჩამოაყალიბა. მინდა გისურვოთ დასაქმება უშუალოდ პროფესიით. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს მინდა ვუსურვო მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება. ვისურვებდი, იმ სპეციალობაში გაიღრმაოთ ცოდნა, რა მიმართულებითაც მიიღეთ განათლება ბაკალავრიატის საფეხურზე. ამ ლამაზ განწყობას ვუერთდები. მინდა, რომ ქვეყანას გამოადგეთ ღირსეულ მოქალაქეებად.**

სიტყვით გამოვიდა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული **ვერა სვანიძე: ორი წლის წინ ვიყავი მანტიით ბაკალავრის ხარისხით. რომ ვუყურებდი მაგისტრანტებს, იყო ჩემთვის მოტივაცია, ვყოფილიყავი მათ ადგილას. ეს სურვილი შევისრულე. ყველა კურსდამთავრებულს ვუსურვებ ოცნებების ასრულებას. გილოცავთ დღევანდელ დღეს და გისურვებთ წარმატებებს.**

საზეიმო ორმა დღემ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბევრი სურვილი, ბევრი სიხარული და ბევრი თბილი სიტყვა დაიტია. უნივერსიტეტმა კიდევ ერთხელ გააცილა კურსდამთავრებულები და გზა დაულოცა წარმატებისკენ.

***ლიკა ზაზაშვილი***



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გაზეთი
მესხეთის უნივერსიტეტი
№6-7, ივნისი-ივლისი, 2019

**გვესაუბრება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, სასწავლო მიმართულებით – ნიკოლოზ ახალკაცი**

# ნიკოლოზ ახალკაცი: მთავარია - შრომა, შრომა და შრომა!

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტში დასრულდა სააუდიტორიო მეცადინეობა, დასრულდა, ასევე, საგამოცდო სესია. მიმდინარე სასწავლო წელს, სასწავლო პროცესის თვალსაზრისით, გვქონდა სიახლეები. წინა წლებში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც შეეხო პროგრამებს, აკრედიტაცია-ავტორიზაციის სტანდარტებს, ფაქტობრივად, უკვე შევიდა ძალაში და ამ სასწავლო წლიდან დავიწყეთ სასწავლო პროგრამების წარდგენა ახალი სტანდარტების შესაბამისად. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ახლა უკვე საავტორიზაციო რეჟიმშია, რომლის ბოლო ვადაა 2020 წლის თებერვალი. თვენახევარში საავტორიზაციო განაცხადი უნდა წარვადგინოთ. შეიძლება ითქვას, შესასრულებელი გვაქვს დიდი საქმე, რომელშიც თითქმის ყველა რგოლია ჩართული.

რა თქმა უნდა, ახალი სტანდარტები აისახა პროგრამებში, რომლებიც წარვადგინეთ აკრედიტაციისთვის. გარდა ამისა, საავტორიზაციო რეჟიმში ყველა პროგრამაში უნდა შევიდეს ცვლილებები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ახალ სტანდარტებთან და ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. ეს ისეთი სამუშაო პროცესია, რომელიც ითხოვს თითქმის ყველა რგოლის – დაწყებული რიგითი თანამშრომლიდან რექტორის ჩათვლით, ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მუშაობას.

მთელი სიმძიმე, თავისთავად ცხადია, სასწავლო პროცესზე მოდის. თუ თვალს გავადევნებთ განვლილ პერიოდს, სასწავლო პროცესში ყოველთვის მიმდინარეობდა ცვლილებები (სწავლების მეთოდებში, საგამოცდო სესიის ორგანიზების პროცესში და სხვა). დღეისათვის განსაკუთრებულ დიდ სიახლედ მიმაჩნია შეფასების წესი, რომელიც ჯერჯერობით საპილოტე რეჟიმში არის არა ჩვენთან, არამედ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. ეს არის ეგრეთწოდებული „განმავითარებელი შეფასება“.

უბრალოდ რომ ავხსნათ, რას ნიშნავს განმავითარებელი შეფასება – ეს არის სტუდენტის არა საბოლოო შეფასება, თუ რა ისწავლა, არამედ მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში არსებული შეფასება, რომელიც სტუდენტს უყალიბებს გარკვეულ უნარებს. განმავითარებელი შეფასებით სტუდენტს განუვითარდება კონკრეტული უნარები, რომელიც პირდაპირ გათვლილია შრომის ბაზარზე. ვთქვათ, ამა და ამ მომხმარებელს სჭირდება ისეთი კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება კონკრეტული უნარები. პირდაპირ არის დაკვეთა – თუ რა კონკრეტული ცოდნა უნდა ჰქონდეს და რა უნარები უნდა განუვითარდეს სტუდენტს. შესაბამისად, პროგრამა ეწყობა ამ უნარების განვითარებაზე.

უკვე შემუშავებულია ძალიან ბევრი მეთოდოლოგია და სასწავლო პროცესში პილოტირების რეჟიმში ჩართულია განმავითარებელი არა ერთი და ორი შეფასების სისტემა. უნდა აღვნიშნო, რომ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებშიც არ არის ჯერ დანერგილი, იქაც გადის პილოტირებას. შესაბამისად, ჩვენ, როგორც ევროპის განუყოფელი ნაწილი, ჩართულები ვართ საერთაშორისო პროექტებში და მის ფარგლებში ჩვენი უნივერსიტეტებიც, ავტომატურად, ჩართულები არიან ამ პილოტირებაში.

ჩვენთან, ჯერჯერობით, ამ შეფასებებთან დაკავშირებით გავდივართ მხოლოდ ტრენინგებს. პირველი ტრენინგები უკვე ჩატარდა აღნიშნული პროექტების ფარგლებში. მასში მონაწილეობენ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორები და დოქტორანტები. ეს არის საერთაშორისო პროექტები, სადაც ჩართულია საქართველოს უნივერსიტეტები, ევროპის უნივერსიტეტები, ისრაელის და სხვა ქვეყნების. შესაბამისად, განმავითარებელ შეფასებებთან დაკავშირებული ყველა საკითხი იხილება ერთობლივად, თუ რა პრობლემების წინაშე დგას, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ამ შეფასებების დანერგვას. ერთი სიტყვით, ცხოვრება წინ მიდის, ახალ-ახალი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე გვაყენებს და ჩვენ, შესაბამისად, მივყვებით. პატარა ჩამორჩენაც კი უკვე დიდ პრობლემებს შეგვიქმნის. ამიტომ, ყველაფერი, რაც ამ პროექტების ფარგლებში კეთდება წამყვან უნივერსიტეტებში (პროექტებიც რომ არ იყოს, განათლებისა და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მეშვეობით), ჩვენთანაც ინერგება.

ერთი სიტყვით, გამოწვევები ძალიან დიდია. ჩვენ ამ გამოწვევებში, გვინდა თუ არ გვინდა, უნდა ჩავერთოთ. ეს არ ნიშნავს ერთი ან ორი ადამიანის, ანდა პროექტში ჩართული ადამიანების გამოცდილებას. ფაქტობრივად, ყველა პროფესორი უნდა იყოს ამ საქმის მონაწილე იმიტომ, რომ ხვალ და ზეგ ამ პროექტების შეფასებების განმახორციელებლები თავად ისინი იქნებიან.

შარშან ძალიან მდიდარი წელი გვქონდა იმ მხრივ, რომ სწავლების ახალ მეთოდებთან დაკავშირებით სხვადასხვა ორგანიზაციებმა ჩვენთან ჩაატარეს ძალიან კარგი ტრენინგკურსები, რომლებიც უკვე ავსახეთ ჩვენს სილაბუსებში. თითქმის, არ არსებობს სასწავლო კურსები, სადაც გარკვეული დოზით მაინც არ იქნება ასახული სწავლების ახალი მეთოდოლოგია. ასე რომ, ის, რაც ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში სიახლეს წარმოადგენს დღეს ჩვენს უნივერსიტეტში, შეიძლება ითქვას, ეს სიახლე ჩვეულებრივ დაყვანილია პროფესორებამდე გონივრულ დროში, რათა არ მოხდეს ჩამორჩენა, მონიტორინგი და ექსპერტიზა რომ მოვიდეს, არ აღმოჩნდეს, რომ ჩვენ რაღაც საკითხებში მოვიკოჭლებთ.

ავტორიზაციის რეჟიმთან დაკავშირებით მინდა გავამახვილო ყურადღება. ავტორიზაცია ჩვენი უნივერსიტეტისთვის იქნება საჯილდაო ქვის გადაგორება. არსებობს საავტორიზაციო შვიდი სტანდარტი. მათგან ერთიც რომ ჩავარდეს, უნივერსიტეტი ავტორიზაციას ვერ გაივლის. პირობითი ავტორიზაცია შეიძლება მიეცეს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სტანდარტის რომელიმე ქვეპუნქტი ნაწილობრივ ვერ შესრულდა. ამისათვის უნივერსიტეტს ეძლევა გამოსწორების დრო. ეს პრაქტიკა სხვა უნივერსიტეტებმა უკვე გაიარეს და ჩვენ ვსწავლობთ მათ მაგალითზე თუ რა პრობლემა შეიძლება დადგეს ჩვენს წინაშე.



უშუალოდ მინდა შევეხო სასწავლო პროცესს, კონკრეტულად მის ერთ-ერთ სეგმენტს – საგამოცდო სესიებს, ზოგადად, საგამოცდო პროცესს. როდესაც ჩვენ დავიწყეთ დასკვნითი გამოცდების ორგანიზებულად ჩატარება (საგამოცდო ცენტრში), გამოცდები ტარდებოდა ჯერ წერილობით. აღმოჩნდა, რომ გარკვეულ შედეგებზე გავედით, გვქონდა წინსვლა, მაგრამ იქ გარკვეული სუსტი მხარეებიც აღმოჩნდა, კერძოდ, აღმოჩნდა სასწავლო კურსები, სადაც მარტო წერით იმ შედეგზე ვერ გავიდოდით. შემდგომ გადავდგით ასეთი ნაბიჯი – მუდლის პროგრამა დავნერგეთ და გადავედით ელექტრონულ გამოცდებზე. თითქმის ყველა დასკვნითი გამოცდა ტარდებოდა საგამოცდო ცენტრის მიერ ელექტრონულად. აქაც მივედით იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ ელექტრონული გამოცდებითაც არ შეიძლება საგამოცდო პროცესის წარმართვა. საბოლოოდ, რადგან ეს გამოცდილება გვიდევს წინ, მივედით დასკვნამდე, რომ ერთი სახის, ერთი ტიპის გამოცდების ჩატარებით ჩვენთვის სასურველ შედეგზე ვერასოდეს გავალთ. ამიტომაც, ბოლო ორი წელია, მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება, რომ დავუშვათ სრული აკადემიური თავისუფლება, რომ არ მოხდეს გამოცდების ფორმის უნიფიცირება. აკადემიურ პერსონალს დავრთეთ ნება – თუ სასწავლო კურსების საჭიროება მოითხოვს, გამოცდები ჩაატარონ თვითონ – წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად. ასევე, თუ მათი სურვილი იქნება, გამოცდებს ჩაატარებს საგამოცდო ცენტრი წერილობით ან ელექტრონულად. რაც შეეხება ზეპირ გამოცდას, ზეპირი გამოცდა, თავისთავად ცხადია, საგამოცდო ცენტრის მეშვეობით ვერ ჩატარდება. ამიტომ, ზეპირ გამოცდას თვითონ პროფესორი იბარებს წინასწარ შედგენილი ბილეთებით, რომელიც შესაბამისობაშია აუცილებელ მოთხოვნებთან.

დღეს, ფაქტობრივად, საგამოცდო სისტემაში არ არსებობს ისეთი ფორმა, რომელიც ჩვენს მიერ არ იყოს გამოყენებული. ეს უკვე გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ნებისმიერი სასწავლო კურსი, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სრულყოფილად იქნას სწავლის შედეგზე გასული, რადგან გამოცდა, ფაქტობრივად, აჯამებს მთელი სემესტრის განმავლობაში მიმდინარე სასწავლო პროცესს. თუ გამოცდა არ შეესაბამება იმ სასწავლო კურსის შინაარსს, საწავლო კურსის სპეციფიკას, შეიძლება შედეგზე გავიდეთ, მაგრამ რაღაც შედეგი დაგვრჩეს ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ.

შეიძლება ითქვას, რომ მართლაც კარგი მიმართულება გვაქვს დაჭერილი. სრულმა აკადემიურმა თავისუფლებამ მოგვცა საშუალება, რომ სასწავლო კურსები მივუახლოვოთ იმ აუცილებელ საჭიროებებს, რასაც სასწავლო კურსების სპეციფიკა მოითხოვს. მართალია, ავტორიზაციის რეჟიმში ვართ ახლა, უფრო მობილიზეულად ვმუშაობთ, მაგრამ ეს არ არის ავტორიზაციისთვის. ზოგადად, ეს უნდა გახდეს ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური მოთხოვნილების ნორმა. მობილიზება აუცილებელია ყოველდღიურ რეჟიმში.

შეიძლება კიდევ ერთი რამ ითქვას აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში. აკადემიური პერსონალი, თითქმის ყველა სფეროში, დამაკმაყოფილებელია რაოდენობრივი თვალსაზრისითაც და თვისობრივითაც. ერთ-ერთი პრობლემა, რაც ამ მიმართულებით გვაქვს, არის აკადემიური პერსონალის დროული დატრენინგება. არ უნდა მოხდეს ისე, რომ აკადემიური პერსონალის რაღაც ნაწილი სიახლეებზე გავიდეს, ნაწილი კი ჩამორჩეს. ამიტომ, ჩვენთვის ყოველთვის უმთავრესია – აკადემიური პერსონალი დროულად იქნას ინფორმირებული ნებისმიერ სიახლეზე, ჩვენს მიერ განხორციელებულ ან განსახორციელებელ საქმიანობაზე.

დღეს შეიძლება ითქვას, რომ დამაკმაყოფილებელია ჩვენი სასწავლებლის მდგომარეობა. ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე რგოლი ისეთნაირად ჩამორჩება, რაღაც საშიშროებას უქმნიდეს უნივერსიტეტს, რომ შეუთავსებელი იყოს ავტორიზაციასთან. ყველა იმ შვიდი სტანდარტის მიმართულებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ თავისუფლად გავალთ. ეს არაა ჩემი სუბიექტური აზრი. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის ობიექტური მდგომარეობა, რაც ჩვენ გაგვაჩნია. მთავარია – შრომა, შრომა და შრომა!

# „ერთი დღე წყაროსთან“



**ნინოწმინდის** მუნიციპალიტეტის სოფელ ფოკის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ქართული ენის პედაგოგის – **კლარა ფოცხვერაშვილის** ხელმძღვანელობით, 13 ივნისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხალხურ თემატიკაზე დადგმული სასკოლო სპექტაკლი **„ერთი დღე წყაროსთან“** წარმოადგინეს. მოსწავლეებს ახლდა ფოკის სკოლის დირექტორი **სააკ მადოიანი**.

ამ დღეს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის სცენაზე ნამდვილი მსახიობები იდგნენ. ცეკვავდნენ, მღეროდნენ ქართულად, ლექსებს კითხულობდნენ ქართულად და საირობდნენ ქართულად. სპექტაკლის სცენარიდან იგრძნობოდა პედაგოგის განსწავლულობა, მისი ღვაწლი და დამსახურება – სცენიდან გამართული ქართულით რომ მეტყველებდნენ სომეხი მოსწავლეები.



სპექტაკლის დაწყებამდე სტუმრებს უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მაკა ბერიძემ** უმასპინძლა. რექტორმა მოსწავლეების სურვილები და სამომავლო გეგმები შეიტყო, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ მოუთხრო და სტუდენტთა ცხოვრებაზე მოახსენა.

შემდეგ, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გადაინაცვლეს. სპექტაკლის მოლოდინში, დარბაზი სტუდენტებითა და უნივერსიტეტის თანამშრომლებით შეივსო. მოეწყო სცენა მოსწავლეების მიერ ფოკიდან ჩამოტანილი დეკორაციებით. სპექტაკლის მსვლელობისას პატარა მსახიობებს მაყურებელი ხშირად აჯილდოებდა აპლოდისმენტებით.

**ეს ბავშვები, რომლებსაც ქართული ენა კლარა მასწავლებელმა შეაყვარა, ყოველთვის იქნებიან ჩვენი ქვეყნის ერთგულები. კლარა მასწავლებელმა, ქართულ ენასთან ერთად, ბავშვებს ჩამოუყალიბა სახელმწიფოებრივი აზროვნება.** – აღნიშნა სპექტაკლის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ. მან მადლობა მოახსენა მოსწავლეებს ასეთი შესანიშნავი სპექტაკლის გამართვისთვის და დასძინა, რომ ქართულ ენასთან ერთად, მათ შეუსისხლხორცებიათ ქართული კულტურაც. **ამ ბავშვებმა, პირველ რიგში, წარმოადგინეს თავიანთი სკოლა და რომ არა სკოლის სულისკვეთება, სკოლის სურვილი, ასეთი მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით ვერ იქნებოდნენ ისინი. დღევანდელი დღე კიდევ უფრო ახლო თანამშრომლობას ჩაუყრის საფუძველს .** – ბრძანა ქალბატონმა მაკამ.



მისალმების შემდეგ, რექტორმა სკოლის დირექტორს, სააკ მადოიანს გადასცა უნივერსიტეტის სიგელი – **„მომავალი თაობის ტოლერანტული სულისკვეთებით აღზრდისათვის“**, ხოლო კლარა ფოცხვერაშვილს – **„მომავალი თაობის აღზრდასა და ქართული ენის შესწავლის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“.**

მადლობა მოახსენა სტუმრებს რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ**. მან ხაზი გაუსვა ჯავახეთში ქართული ენის სწავლების მნიშვნელობას და ამ საქმეში დიდი ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადა ქალბატონ კლარას. **ბევრი რამე შემიძლია გავიხსენო ფოკასთან დაკავშირებით,** – აღნიშნა პროფესორმა, – **ფოკა ისტორიული ადგილია. ფოკაში ყოველთვის ცხოვრობდნენ ქართველები და სომხები. ისინი ერთად ებრძოდნენ მტერს. დღეს თქვენ წარმოადგინეთ საინტერესო დადგმა. ბრწყინვალე რეჟისურა იყო. ქალბატონ კლარას მინდა ვუთხრა მადლობა. ადრეულ წლებში, მე და ქალბატონი კლარა ერთად დავდიოდით ჯავახეთში. ის იქ დარჩა, მე ახალციხეში წამოვედი. მადლობა კიდევ ერთხელ ამ ყველაფრისთვის.**

ფოკის სკოლის დირექტორმა სააკ მადოიანმა მადლობა მოხსენა მასპინძლებს ასეთი ყურადღებისა და დაფასებისთვის. კლარა მასწავლებელმა შემდეგი განაცხადა: **რაც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გაიხსნა უნივერსიტეტი, იმ დროიდან მაკავშირებს დიდი მეგობრობა მასთან. ძალიან დიდი სიკეთე და დახმარება მახსოვს ამ უნივერსიტეტიდან, დიდი იმედი სიტყვიერი. თქვენნაირმა ადამიანებმა მომიყვანეს დღემდე და ვაგრძელებთ ამ მეგობრობას. მიხარია, რომ მოგეწონათ ეს ბავშვები. მადლობა ყველა იმ სიტყვისთვის, რაც ამ სცენაზე წარმოითქვა დღეს.**

სპექტაკლის შემდეგ, სტუმრებმა უნივერსიტეტის მუზეუმი დაათვალიერეს და უნივერსიტეტს, შემდგომ თანამშრომლობამდე, შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაემშვიდობნენ.

***ლიკა ზაზაშვილი***

# საუნივერსიტეტო წინსვლისა და პრობლემების შესახებ

## ინფორმაცია ჯავახეთიდან

**ვასილ მოსიაშვილი**
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე (ახალქალაქი)**

**2018-2019 სასწავლო** წელს ახალქალაქის (III სასწავლო კორპუსი) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ისევე, როგორც ზოგადად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოახლოებული ავტორიზაციის რეჟიმში მუშაობდა და მუშაობს დღემდე. მოვაწესრიგეთ სტუდენტთა პირადი საქმეები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. უნივერსიტეტის რექტორის, ქალბატონ მაკა ბერიძის ინიციატივითა და დავალებით, ჩვენი ადგილობრივი პერსონალისა და საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლების აქტიური მუშაობით, დასკვნითი გამოცდები ახალქალაქში ჩაატარა საგამოცდო ცენტრმა.

აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სამეურნეო საქმიანობა (სამედიცინო ოთახის მოწყობა, პანდუსის მშენებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, სველი წერტილების მოწესრიგება და სხვა).

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ პროექტის ფარგლებში, ახალქალაქის განვითარების ჯგუფის (LAG ახალქალაქი) მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსის მესამე, ბოლო ეტაპზე გადავიდა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი სპორტული დარბაზის აღჭურვასთან დაკავშირებით. პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 34 950 ლარს, აქედან უნივერსიტეტის თანადაფინანსების წილია 35%.

პროექტი ითვალისწინებს ფიტნესტრენაჟორების, მძლეოსნობის ტრენაჟორების, მკლავჭიდის, კალათბურთის, ფრენბურთის, ტენისისა და ჭადრაკის ინვენტარის, ასევე, სალაშქრო აღჭურვილობის შეძენას. პროექტის მიზანია, ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი სპორტული სივრცის შექმნა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და ახალგაზრდების სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის გზით, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა. ამდენად აღნიშნული პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ, ჩვენი სტუდენტებისათვის მოეწყობა კარგად აღჭურვილი სპორტული სივრცე, რაც კიდევ უფრო საინტერესოს გახდის სტუდენტურ ცხოვრებას. პროექტთან დაკავშირებულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის მადლობა მინდა გადავუხადო რექტორის თანაშემწეს ნინო ხაზალაშვილს.

ახალქალაქში, დღევანდელი მდგომარეობით, ფუნქციონირებს ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების, ქართული ფილოლოგიისა დ ისტორიის საბაკალავრო პროგრამები, ისტორიისა და მასწავლებლის მომზადების დამატებითი პროგრამები, ასევე, ქართულ ენაში მომზადების პროგრამა. ამ უკანასკნელმა გასულ სასწავლო წელს წარმატებით გაიარა პროგრამული აკრედიტაცია, რაშიც ახალქალაქში დასაქმებული პედაგოგებისა და ადმინისტრაციის გარკვეული წვლილიცაა. ყველა პროგრამაზე ერთად გვერიცხება 205 სტუდენტი. 2012 წლიდან ახალქალაქში სტუდენტთა რაოდენობა დინამიურად მატულობს (რეორგანიზაციამდე, 2012 წელს, გვერიცხებოდა 41 სტუდენტი).

მომავალი სასწავლო წლისათვის, აღნიშნულ პროგრამებთან ერთად, მიღება გვაქვს გამოცხადებული სამართლის, საჯარო მმართველობისა და აგრონომიის საბაკალავრო პროგრამებზე. ფუნქციონირებას დაიწყებს (სტუდენტები დარეგისტრირდნენ) ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი პროგრამა.

მიმდინარე წელს საბაკალავრო პროგრამა დაასრულა ოცდათერთმეტმა სტუდენტმა (25 – ბიზნესის ადმინისტრირება, 6 – ისტორია). სექტემბერში, დამატებით ვადებში გამოცდის ჩაბარების შემდეგ, საბაკალავრო პროგრამას დაასრულებს კიდევ ოთხი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი. ოცდასამმა მსმენელმა დაასრულა ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, რომლებიც სწავლას გააგრძელებენ სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამებზე.

ბოლო 4 წლის განმავლობაში ქართული ენის მომზადების პროგრამაზე, ახალქალაქის მიმართულებით, გვაქვს კონკურსი, რაც თავისთავად მიუთითებს ადგილობრივი არაქართულენოვანი მოსახლეობის გაზრდილ ინტერესზე სახელმწიფო ენისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი. ჯავახეთში უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციონირების ერთ-ერთი მიზანიც ხომ ადგილობრივი მოსახლეობის ქართულ სახელმწიფოსთან ინტეგრაცია და მათთვის სახელმწიფო ენაზე განათლების მიცემაა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, აბიტურიენტებთან ერთად, გრანტის მოპოვების მიზნით, ქართული ენის მომზადების პროგრამაზე ხელახლა რეგისტრირდებიან ამავე პროგრამის მსმენელები. ეს კიდევ უფრო ზრდის კონკურსს და პროგრამის გარეთ ტოვებს აბიტურიენტთა ნაწილს. კარგი იქნება თუ შესაბამის სამსახურებში დავაყენებთ საკითხს და გრანტის მოპოვების მსურველ ქართულ ენაში მომზადების მსმენელებს ექნებათ, ზოგადი უნარების საკუთარ ენაზე ჩაბარებით, პროგრამაზე ხელახლა რეგისტრაციის გარეშე გრანტის გაუმჯობესების საშუალება.

ამით აღნიშნულ პროგრამაზე მეტ აბიტურიენტს მიეცემა ჩარიცხვის საშუალება. შესაბამისად, გაიზრდება უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობაც. ასევე,უკეთესი იქნება თუ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტების მისაღები რაოდენობა არ იქნება დამოკიდებული უნივერსიტეტის საერთო მისაღებ კონტინგენტზე.

2018-2019 სასწავლო წლის ორივე სემესტრი ახალქალაქში დავასრულეთ ფინანსური დავალიანების გარეშე. შესაბამისად, არცერთ სტუდენტს არ შეჩერებია სტატუსი. ახალქალაქში 24 სტუდენტი იღებს სხვადასხვა სტიპენდიას. ყოველწლიურად იზრდება ახალქალაქელი სტუდენტების მონაწილეობა როგორც საუნივერსიტეტო, ასევე, საზოგადოებრივი მიმართულებით. გასულ სასწავლო წელს განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჩვენი სტუდენტები სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით და“აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში. ახალქალაქელი სტუდენტები რამდენჯერმე ჩამოვიყვანეთ ახალციხეში სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, მოეწყო ერთობლივი ექსკურსია-ლაშქრობა.

სტუდენტურმა თვითმმართველობამ გაააქტიურა მუშაობა ახალქალაქის მიმართულებით, დაგეგმა და განახორციელა ერთობლივი ღონისძიებები. ამ ღონისძიებას და ზოგადად ყველა აქტიურობას, რომელშიც ახალქალაქელი და ახალციხელი სტუდენტები ერთად მიიღებენ მონაწილეობას, მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს ჩვენი უნივერსიტეტისათვის, რომელიც ორ ქალაქშია განლაგებული. სამომავლოდ კიდევ უფრო გააქტიურდება ამ მიმართულებით მუშაობა.

სტუდენტებისთვის გამოიყო ცალკე ოთახი, რომელიც თავისი გემოვნებით მოაწყეს. ამავე ოთახში ფუნქციონირებს კინო-კლუბი. უნივერსიტეტის რექტორი, ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი მცდელობას არ აკლებენ, რომ სტუდენტებს ახალციხეშიც და ახალქალაქშიც სწავლისა და საუნივერსიტეტო ცხოვრებისადმი ერთნაირი ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ. გასული სასწავლო წელი, ამ მიმართულებით საკმაოდ ნაყოფიერი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი ყოველდღიურად დადიან ახალციხიდან, გასული წელი დავასრულეთ სასწავლო პროცესის შეფერხების გარეშე.

საქმეს სასიკეთოდ წაადგება, თუ სამომავლოდ ახალქალაქში გვეყოლება საზოგადოებასთან ურთიერთობის, ასევე, კულტურისა და სპორტის სამსახურების სპეციალისტები. ამ თვალსაზრისით კარგი ქნება, თუ უნივერსიტეტის საინფორმაციო საშუალებები („საუნივერსიტეტო ქრონიკა“; „მესხეთის უნივერსიტეტი“) უფრო მეტ დროს დაუთმობენ ჯავახეთის სასწავლო კორპუსის სტუდენტთა ცხოვრებას.



ახალქალაქის მისამართზე მომუშავე ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან მჭიდრო კოორდინაციით, ცდილობენ, სტუდენტებს შეუქმნან კომფორტული სასწავლო გარემო ისეთი განათლების მისაღებად, რითაც შეძლებენ კონკურენტულ გარემოში თავის დამკვიდრებას.

როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ჩვენი კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი დასაქმებულია სხვადასხვა სამსახურებში. დასაქმებულია, ასევე, დამამთავრებელი კურსის სტუდენტების ნაწილიც.

ახალქალაქში სულ 14 ადმინისტრაციული თანამშრომელია. მათ შორის, 2 ხელშეკრულებით მუშაობს. რეორგანიზაციის შემდეგ მაქსიმალურად შევინარჩუნეთ საქმისმცოდნე, ადგილობრივი გამოცდილი კადრები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ.

მთელი რიგი წარმატებების ფონზე, ახალქალაქში კიდევ არსებობს გარკვეული პრობლემები, კერძოდ:

იმის გარდა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია, არსებულ საშტატო ერთეულს დაემატოს კომპიუტერული ტექნიკის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, კულტურისა და სპორტის სამსახურების სპეციალისტები, გადასახედია არსებული საშტატო სისტემაც. მაგალითად, ახალქალაქში კანცელარიის სპეციალისტის ფუნქცია მინიმალურია მაშინ, როდესაც არ გვყავს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალისტი. შესაძლებელია, რომ კანცელარიის სპეციალისტის (ნანა მელიქიძე) ფუნქცია შევუთავსოთ კადრების სპეციალისტს (სოფო ოსიძე), ხოლო გამოთავისუფლებული კადრი დავნიშნოთ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალისტად. იგი ამ მოვალეობას ისედაც ასრულებს, ჩემი სიტყვიერი დავალებით.

ახალქალაქში (III სასწავლო კორპუსი) ინახება ყოფილი პროფესიული სასწავლებლის გარკვეული დოკუმენტაცია (რუსულ ენაზე). ხშირად გვაკითხავენ აღნიშნული პროფესიული სასწავლებლის ყოფილი თანამშრომლები და ითხოვენ ამა თუ იმ ცნობის გაცემას. საჭიროდ მიგვაჩნია,ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის სათანადო წესით დაარქივება, რაც შემდგომში მოგვცემს შესაბამისი ცნობების გაცემის საშუალებას.

მოსაწესრიგებელია უნივერსიტეტის შიდა გზა. ცუდი ამინდის დროს შეუძლებელი ხდება უნივერსიტეტის შესასვლელიდან სასწავლო კორპუსამდე სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება.

გარკვეული პრობლემაა ფეხით გადაადგილებაც. კარგი იქნება თუ მოხერხდება გზის ელემენტარულ დონეზე შეკეთება, მინიმუმ, საფეხმავლო გზის მოწყობა უნივერსიტეტის შესასვლელიდან სასწავლო კორპუსამდე.

შესაკეთებელია სასწავლო კორპუსის სახურავი, ნაპირებიდან კედელზე ჩამოდის წყალი, ამავე კორპუსის ჩრდილოეთ კედელზე ჩამოცვენილია ნალესი. ყოველივე ეს რისკის ქვეშ აყენებს კორპუსის მდგრადობას.

კაპიტალურად არის შესაკეთებელი სასწავლო კორპუსის გათბობის სისტემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალი გათბობის სეზონზე შესაძლებელია სასწავლო პროცესის შეფერხება.

შესარემონტებელია, თუნდაც, ელემენტარულად, დაცვის შენობა და მოსაწესრიგებელია უნივერსიტეტის ეზოში შემოსასვლელი.

უნივერსიტეტში არ ფუნქციონირებს კვების ობიექტი, რაც გარკვეულ პრობლემას ქმნის როგორც სტუდენტებისთვის, ასევე, სასწავლებლის თანამშრომლებისთვის.

2019-2020 სასწავლო წლისათვის, ზემოაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტასთან ერთად, ახალქალაქში ველოდებით სტუდენტთა კონტინგენტის მომატებას, სწავლის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, ჩვენი სტუდენტების უფრო აქტიურ მონაწილეობას საუნივერსიტეტო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

---

# ინფორმაცია

● **3 ივნისს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შიდა ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სტუდენტური თვითმმართველობის გუნდი და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნირებათა ფაკულტეტის ისტორიის სპეციალობის გუნდი. ასპარეზობაში გამარჯვებლად გამოვიდა სტუდენტური თვითმმართველობის გუნდმა. ორივე გუნდს ფინალში მონაწილეობისათვის სიგელები გადაეცათ, გამარჯვებული სტუდენტური თვითმმართველობის ფეხბურთელებს კი დამატებით – უნივერსიტეტის თასი.



● **13 ივნისს**, მესხეთის (ახალციხის) პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ღირსების ორდენის კავალერის **სამსონ მენაბდიშვილისა** და **ლია მენაბდიშვილის** ქორეოგრაფიული მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი.

მასში მონაწილეობდნენ: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ახალციხე“, ახალციხის №5 საჯარო სკოლასთან არსებული სანიმუშო-სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლომსია“, ანსამბლები – „ვარძია“, „ივერია“, ასევე, ხელოვნების სტუდია „პალიტრა“.

სამი საათის განმავლობაში მაყურებელმა იხილა საქართველოს სხავადასხვა კუთხის ფოლკლორი და ჟანრობრივად განსხვავებული ქორეოგრაფიული ნომრები. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა „ქართული“, აჭარული“, ხორუმი“, „რაჭული“ და სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდიის მიერ შესრულებული „ჰიპ-ჰოპი“ და „აფრიკული“, ხალხური და ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ახალმა ინოვაციურმა ცეკვამ „მესხური“. კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა.



ღონისძიების დასასრულს, უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ მადლობა გადაუხადა ანსამბლის ქორეოგრაფებს ქრისტინე მენაბდიშვილს და შალვა ჭოჭუას, ხოლო სამსონ და ლია მენაბდიშვილებს მადლობის სიგელი გადასცა უნივერსიტეტში 20 წლიანი მოღვაწეობისათვის. მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ, ასევე, უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლის – „ახალციხის“ 27 წევრი.

*უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან*

# „გარე სამყაროსთან მოწყვეტა ნიშნავს ჩაკეტვას, ურთიერთობა კი – ზრდას“

## გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი როინ ყავრელიშვილი

**როინ ყავრელიშვილი, 2012 -2018 წლებში, პროფესორის სტატუსით, მიწვეული იყო თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ არტაანის უნივერსიტეტში, სადაც ასოცირებულ პროფესორ გულნარა გოჯაევასთან და პროფესორ შურედინ მემედლისთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებას. გარკვეული პერიოდი ამ განყოფილების გამგის მოვალეობის დროებით შემსრულებელი გახლდათ. ლექციებს კითხულობდა როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე, თანამედროვე თურქული ენებისა და დიალექტების განყოფილებაზე, აღნიშნულ განყოფილებაზე – რუსეთ-თურქეთის და რუსეთ-შუა აზიის ურთიერთობების ისტორიაში.**

**ვისაუბრებ** თურქეთის საისტორიო საზოგადოებასთან ურთიერთობებზე და იმ ტრადიციებზე, რასაც ჩვენ ვაგრძელებთ დღემდე.

იმთავითვე ვიყავი ჩართული ჩვენს უნივერსიტეტსა და თურქეთის რესპუბლიკის უნივერსიტეტებს შორის დაწყებულ სამეცნიერო და სასწავლო ურთიერთობებში. სამეცნიერო კონტაქტები ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში დავიწყეთ, 2000 წელს ჩავედით ყარსის უნივერსიტეტში და 2001-2002 წლებში პირველი სიმპოზიუმები ჩავატარეთ, მონაცვლეობით. ერთი ყარსში, შემდეგი – აბასთუმანში და ეს წარმატებით გრძელდება დღემდე. ჩვენი დახმარებით ყარსისა და არტაანის უნივერსიტეტებში გაიხსნა ქართული ენის განყოფილებები. ამასთან ერთად, ვახორციელებდით და ვახორციელებთ სტუდენტთა გაცვლით პროგრამებს. ეს უკვე ისტორიაა და საკმაოდ კარგი საფუძველი მომავალი წარმატებული ურთიერთობებისთვის.

რა მოხდა შემდეგ? შემდეგ უფრო გავაფართოვეთ ჩვენი ურთიერთობა, სამეცნიერო ურთიერთობები თურქულ სამეცნიერო სამყაროსთან. ეს არის თურქეთის საისტორიო საზოგადოებასთან ურთიერთობა. ამ ურთიერთობას საფუძველი ჩავუყარეთ ჯერ კიდევ 2016 წელს, როდესაც ჩავატარეთ პირველი სიმპოზიუმი ახალციხეში, ჩამოვიდა თურქეთის საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე და გამოვეცით ამ საერთაშორისო სამეცნიერო სემინარის ორენოვანი კრებული. ორივე მხარემ ღირსეულად წარმოადგინა მოხსენებები. ძალიან კარგი სამეცნიერო სემინარი იყო, პოლემიკაც იყო სათანადო დონეზე. ამან იმდენად დაიმსახურა მოწონება როგორც ჩვენთან, ასევე თურქეთში, რომ დაიბადა იდეა – ასეთი შეხვედრები გაგრძელებულიყო მონაცვლეობით და მეორე, უკვე სიმპოზიუმი, 2017 წლის შემოდგომაზე, ჩავატარეთ ტრაპიზონის უნივერსიტეტში. პირველი ორენოვანი კრებული ჩვენი უნივერსიტეტის მიერ ჯერ კიდევ 2001 წელს გამოიცა, როდესაც ყარსში ისტორიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩავატარეთ. სიმპოზიუმის ორენოვანი შრომების გამოცემის იდეა დაიბადა სამუშაო ჯგუფების შეხვედრისას: პროფესორები – მერაბ ბერიძე, ვალერი სილოგავა და მე გახლდით ჩვენს სამუშაო ჯგუფში. თურქეთის მხრიდან იყვნენ ყარსის უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ნეჯათი ქაია, ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი არიფ ბაისალი, პრორექტორი, პროფესორი ჰაიდარ იუქსექი. ასეთი სახის კრებულის გამოცემის ინიციატორი იყო ბატონი მერაბი. თარგმანზე მე ვმუშაობდი.

ეს იყო ძალიან კარგი გამოცემა, ორივე ქვეყნის სამეცნიერო სამყაროსთვის მისაღები. რატომ? იმიტომ, რომ ენის ბარიერი მოიხსნა და საქართველოშიც და თურქეთშიც, არა მხოლოდ მეცნიერებისთვის, არამედ დაინტერესებული ფართო აუდიტორიისთვის შესაძლებელი გახდა სიმპოზიუმზე წარმოდგენილი პოზიციისა და ხედვების წარმოჩენა ისე, როგორც თვლიდნენ მომხსენებლები.

ამ დროიდან მოყოლებული, დღემდე, უკვე დიდტანიან ორენოვან კრებულებს ვაკეთებთ. დიდი წილი თარგმანის ჩემზე მოდის, მაგრამ ახალგაზრდა კოლეგებიც გვეშველებიან. მათგან გამოვყოფდი სტამბოლის უნივერსიტეტის დოქტორანტს, კარგ ახალგაზრდას გელა გუნიავას, რომელიც ჩართულია ამ საქმეში. ის უკვე პროფესიონალი გახდა, თურქულიდან ქართულ ენაზე თარგმნის.

ისევ დავუბრუნდეთ ტრაპიზონს. ტრაპიზონში მიგვიწვიეს თურქებმა. ჩვენი დელეგაცია შედგებოდა 15 კაცისგან. იმათი მხრიდანაც 15 მონაწილე იყო წარმოდგენილი. დარბაზში გვყავდა უამრავი მსმენელი, იყვნენ სტუდენტები და, რამდენადაც ქართულ-თურქული ურთიერთობისადმი ინტერესი ძალიან დიდია, გარედან მოსული ადამიანებიც.

ჩვენი უნივერსიტეტიდან ოთხი მომხსენებელი – მერაბ ბერიძე, რომან გოგოლაური, ვასილ მოსიაშვილი და მე გახლდით. იყო ორენოვანი მოხსენებები, ადგილზევე ითარგმნებოდა სინქრონულად და გასაგები იყო აუდიტორიისთვის. ამ საქმეში ძალიან დიდი დახმარება გაგვიწიეს ტრაპიზონში საქართველოს გენერალური საკონსულოს თანამშრომლებმა – გიორგი ყუშიტაშვილმა, თეიმურაზ ტარტარაშვილმა და თვით კონსულმა ავთანდილ მიქაცაძემ. მათი დახვედრა, მიღება საკონსულოში იყო ჩვენდამი დიდი პატივისცემა და თანადგომა.

სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ, ასევე, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები. იმისათვის, რომ უკეთესად წარმოჩენილიყო აფხაზეთისა და შიდა ქართლის პრობლემები საერთაშორისო ტრიბუნაზე, ჩვენი ინიციატივა იყო, რომ ამ საკითხში ჩაგვერთო გორის სასწავლო უნივერსიტეტი და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობა, რომლებმაც, სხვებთან ერთად, ღირსეულად წარმოაჩინეს თავიანთი თავი, კუთხე, საკუთარი უნივერსიტეტი.

სიმპოზიუმების ძირითადი თემა ქართულ-თურქული ურთიერთობებია. თურქეთის საისტორიო საზოგადოებასთან, სამეცნიერო საბჭოს წევრებთან და თურქეთის მხარის წარმომადგენელთან – იბრაჰიმ თელიოღლუსთან ერთად, სიმპოზიუმების თემატიკა დავყავით ხუთ ნაწილად. პირველი იყო სამუშაო სემინარი, სადაც ქართულ-თურქული ურთიერთობის მიმართულებით სხვადასხვა საკითხებთან და პერიოდებთან დაკავშირებით მოხსენებები წარვადგინეთ.


საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი სამსუნში

გადავწყვიტეთ, რომ დაგვეკონკრეტებინა – შუა საუკუნეების პერიოდი გავყავით ორად: პირველი გორში ჩავატარეთ, მეორეს ჩავატარებთ მუღლას უნივერსიტეტში. ეს იქნება უკვე რიგით მეოთხე სიმპოზიუმი. მეხუთეს და ასეთი ფორმატით საბოლოო სიმპოზიუმს ჩავატარებთ საქართველოში გაისად. თემა იქნება უახლესი პერიოდის ქართულ-თურქული ურთიერთობები.

ტრაპიზონის კრებული ვთარგმნეთ, ავკინძეთ და დავაკაბადონეთ ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობაში; დიდი მადლობა ნანა კედელაშვილს და ლია გზირიშვილს გაწეული შრომისთვის. გამომცემლობის ხარჯები თურქეთის მხარემ გაიღო. ორივე სიმპოზიუმის კრებული გამოიცა ტრაპიზონში და დაურიგდა როგორც სიმპოზიუმის მონაწილეებს, ისე ბიბლიოთეკებს, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას.

მეორე სიმპოზიუმი იყო უკვე რეზონანსული იმიტომ, რომ პირველის შემდეგ მრავალმა მოიწერა – სიმპოზიუმი რატომ არ ჩატარდა უფრო ფართო მასშტაბით, ჩვენც რომ მიგვეღო მონაწილეობაო. კარგია, ასეთი ინიციატივა რომ გაჩნდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ამას ფინანსების მოპოვება სჭირდებოდა და ასეთი დაფინანსება არც ჩვენ მხარეს შეეძლო და თურქეთის საისტორიო საზოგადოებამაც ვერ გაიღო. თუმცა, საზოგადოების თავმჯდომარის პროფესორ რეფიქ თურანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ამ ინიციატივების უშუალო მხარდამჭერია, პირადად ესწრება ხოლმე სიმპოზიუმებს.


საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი ირანში

ტრაპიზონშივე გადავწყვიტეთ, რომ მესამე სიმპოზიუმი ჩაგვეტარებინა გორის უნივერსიტეტში, რაც წარმატებით განვახორციელეთ 2018 წლის შემოდგომით. გორელებმა შესანიშნავი მასპინძლობა გასწიეს და ღირებული მოხსენებები წარმოადგინეს. ფორმატი იგივე იყო. გორის უნივერსიტეტის მეცნიერთა მოხსენებების გარდა წარმოდგენილი იყო მოხსენებები ბათუმის, ქუთაისის, სოხუმის, სამცხე-ჯავახეთისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან. ამ სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იქნა შუა საუკუნეებთან დაკავშირებული მოხსენებები. სხვათა შორის, ბევრი საინტერესო მასალა იბეჭდება სიმპოზიუმის კრებულებში. ჩვენ გვაინტერესებს თურქული მხარის მიერ წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტები საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებით. ახალი საარქივო მასალა შემოვიდა ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში. მიზანი და ღირებულება სწორედ ამ კონფერენციებისა არის არა კონფერენცია კონფერენციისთვის, არამედ ჩვენთვის ღირებული თურქული მასალის შემოტანა ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში. ბუნებრივია, თურქ მეცნიერებს, ასევე, აინტერესებთ ჩვენი პოზიცია.

საერთოდ, როდესაც უცხოელებთან გვაქვს ურთიერთობა, ყოველთვის პარიტეტულ დონეზე უნდა იყოს ეს, მიუხედავად ქვეყნის სიდიდისა და სიმცირისა, ორივე მხარის ინტერესები უნდა იყოს გათვალისწინებული. მათ რაც აინტერსებთ, ყოველგვარი ცენზურის გარეშე უნდა მივაწოდოთ და უნდა მივიღოთ მათი მასალაც. შემდეგ უკვე პოლემიკა გაიმართება სიმპოზიუმის მიმდინარეობისას და ეს ძალიან კარგია, მით უფრო, როდესაც განსხვავებულ პოზიციებზეა საუბარი.

ბუნებრივია, ყველა ასეთ სიმპოზიუმს ახლავს თავისი კულტურული მხარე – ექსკურსიები. როგორც სამცხე-ჯავახეთში ჩატარდა ექსკურსია, ასევე ტრაპიზონში ჩაატარა თურქულმა მხარემ, გორშიც მოვინახულეთ ისტორიული ადგილები.


ჟურნალ Karadeniz-ის რედაქტორები

ახლა, გელასთან ერთად, ვმუშაობ გორის სიმპოზიუმის მოხსენებების თარგმანზე. აგვისტოს დასაწყისში უკვე მზად იქნება ახალი კრებული, რომლის დაკაბადონებისა და გამოცემის ინიციატივა აიღო გორის უნივერსიტეტმა. დათქმული გვაქვს, მასპინძელმა უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს წიგნის გამოცემა. ეს იქნება სქელტანიანი კრებული, დაახლოებით, 500 გვერდიანი. დავამთავრებთ ამ ყველაფერს და როგორც ზემოთ აღვნიშნე, უკვე არის ინიციატივა, მეოთხე სიმპოზიუმი ჩატარდეს თურქეთში, მუღლას უნივერსიტეტში.

ჩვენი პრინციპი ასეთია – როდესაც გამოიცემა კრებული, მხოლოდ მას შემდეგ უნდა ჩატარდეს მორიგი სიმპოზიუმი. ჯერ ერთი, სიმბოლურია, მეორეც – როდესაც კრებულები არის მზად, მეცნიერებმა, ვინც მონაწილეობენ სიმპოზიუმში, იციან, რა შედეგი დაიდო.

როგორც აღვნიშნე, თურქეთის საისტორიო საზოგადოებასთან ვაგრძელებთ თანამშრომლობას. ქალაქ სამსუნში, ივნისის დასწაყისში, 11-14 ივნისს, ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც ეძღვნებოდა თურქეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებიდან 100 წლისთავს და იყო 200 მომხსენებელი. საქართველოდან წარმოდგენილი ვიყავით 7 მომხსენებელი. ჩვენი დამოკიდებულება, ჩვენი შეხედულებები, დოკუმენტური მასალა წარვადგინეთ ამ სიმპოზიუმზე. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამას, რადგან სიმპოზიუმს უამრავი უცხოელი მეცნიერი ესწრებოდა. როდესაც ასეთი საზოგადოება გისმენს, მეტ პასუხისმგებლობას გრძნობ შენი ქვეყნის ისტორიის წინაშე. ჩვენი გენერალური ხაზი, დამოკიდებულება, რომ მოხსენებები უნდა იყოს ორენოვანი და ის, რომ აფხაზეთის და შიდა ქართლის წარმომადგენლები აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ, გრძელდება.

ცალკე გამოვყოფდი ჩვენი უნივერსიტეტის დელეგაციის სამეცნიერო მივლინებას სტამბოლის ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში. დელეგაციაში პროფესორებთან მერაბ ბერიძესთან და მაკა ბერიძესთან ერთად მეც გახლდით. აქ შესანიშნავი მასპინძლობა გაგვიწია ბატონი სიმონ ზაზაძის ოჯახმა. ეკლესიის ბიბლიოთეკის არქივში მუშაობის შემდეგ წამოვიღეთ ათასზე მეტი ეპისტოლარული ძეგლის ფოტოფირი. ისინი მეტად ღირებულია ენათმეცნიერული და ისტორიული თვალსაზრისით. აღნიშნულ მასალაზე მუშაობას აგრძელებენ ჩვენი უნივერსიტეტის მაგისტრანტები და დოქტორანტები.

მინდა ვისაუბრო ერთ-ერთ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალზე, რომელსაც უკავშირდება ჩემი საქმიანობა. მოგეხსენებათ, მე გახლავართ რამდენიმე საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის რედკოლეგიის წევრი და, ასევე, იმპაქტ ფაქტორიანი ჟურნალის ერთ-ერთი რედაქტორი. აღნიშნულ ჟურნალში, შვიდი წლის განმავლობაში, რედკოლეგიის წევრი ვიყავი და, აგერ, უკვე ორი წელია, ამ გამოცემაში ვკურირებ კავკასიისა და, ზოგადად, უახლესი პერიოდის ისტორიის მიმართულებას. ჟურნალი სამენოვანია, რუსულ, თურქულ და ინგლისურ ენაზე იბეჭდება სტატიები. ამას გარდა, მე და ჩემი მეგობარი, ასოცირებული პროფესორი ვედი აშკაროღლუ, ინგლისური ენის სპეციალისტი, ვართ ამ ჟურნალის კონსულტანტები. რუსულ და თურქულ აბსტრაქტებს მე ვთარგმნი, ხოლო თურქულს და ინგლისურს თარგმნის ჩემი კოლეგა. ჟურნალის მთავარი რედაქტორი გახლავთ პროფესორი ერდოღან ალთინქაინაქი.

რატომ წამოვწიე ჟურნალთან დაკავშირებული საკითხი? იმიტომ, რომ ამ ჟურნალის – Karadeniz, ეგიდით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულები არიან ჩვენი თანამშრომლებიც. ეს მიმართულებაც გამოსადეგი გახდა ჩვენი უნივერსიტეტისათვის და არა მარტო. ისედაც ვბეჭდავდით ამ და სხვა ჟურნალებში სტატიებს, მაგრამ შარშან შემოდგომით, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან ერთად, თბილისში ჩავატარეთ საერთაშორისო სიმპოზიუმი სოციალური მეცნიერების მიმართულებით. მონაწილეთა რაოდენობა 140 კაცი იყო. ჩვენი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გაზეთი
მესხეთის უნივერსიტეტი



უნივერსიტეტიდან ათზე მეტმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა. ჩვენს უნივერსიტეტში აიკინძა და დაიბეჭდა ამ სიმპოზიუმის თეზისების კრებული. სიმპოზიუმის ხიბლი იყო ის, რომ სამეცნიერო მოხსენება, რომელიც იქნებოდა წაკითხული ამ კონფერენციაზე, რეცენზირების გავლის შემდეგ, აუცილებლად დაიბეჭდებოდა იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში Karadeniz, სწორედ ამ ჟურნალში უკვე ჩვენი ორი პროფესორის – ვასილ მოსიაშვილის, დალი ბეთხოშვილის და ერთი დოქტორანტის – თამარ ახალკაცის სტატია დაიბეჭდა. საქართველოდან, მთლიანობაში, 20-ზე მეტი მოხსენება იყო წაკითხული სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, სამცხე-ჯავახეთის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან. დაახლოებით, 40 მოხსენება იყო აზერბიჯანული უნივერსიტეტებიდან. იყვნენ მომხსენებლები თურქეთიდან, შუა აზიიდან, უკრაინიდან. ქართველმა მეცნიერებმა პირადი კონტაქტები დაამყარეს უცხოელ მეცნიერებთან და მომავალში ისინი შეძლებენ სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღებას და საკუთარი სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენას. გაჩნდა იდეა, რომ თურქეთში, ქალაქ გირესუში, ივნისის თვეში, ჩაგვეტარებინა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა თურქეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. ამ სიმპოზიუმის სტატიები უკვე გამოქვეყნდა კრებულის სახით. ეს ტრადიცია, რა თქმა უნდა, გაგრძელდება. აღმოჩნდა, რომ ჩვენ არა ვართ მოწყვეტილი გარე სამყაროს, რომ ჩვენ შეგვიძლია საერთაშორისო ჟურნალებში გამოვაქვეყნოთ ნაშრომები და გვქონდეს იქიდან გამოხმაურება და თავადაც ვიყოთ ინიციატორები ბევრი კარგი წამოწყებისა.

ეს არის ერთი წილი იმ სამეცნიერო საქმიანობისა, რისი გაკეთებაც მოვახერხეთ. აქამდე ჩემს სომეხ კოლეგებს მხოლოდ საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებზე ვხვდებოდი. რადგან აღარა ვარ თურქეთში, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე, მივიღო მიწვევა სომხეთიდან და მონაწილე გავხდე სიმპოზიუმის, რომელიც გიუმრში გაიმართება 27-29 სექტემბერს. უკვე გადავაგზავნე აბსტრაქტი სამენოვანი – სომხურ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, რომელიც დაიბეჭდება. მე ვფიქრობ, რომ ჩვენთვის აუცილებელია სომხურ მხარესთან სამეცნიერო თანამშრომლობა. პოზიციების მოსმენა. უკეთესია, რომ მეცნიერები შეხვდნენ (რაოდენ მძიმე და ძნელიც უნდა იყოს), დაილაპარაკონ პირისპირ, გადაიდგას, თუნდაც, პირველი ნაბიჯები. შეთანხმებას თუ ვერ მოვახერხებთ, საუბარი მაინც შევძლოთ, საკუთარი პოზიცია მაინც გავაგებინოთ ერთმანეთს. ამიტომ ვამბობ, რომ ყველა შეხვედრა, ყველა სიმპოზიუმი სიმპოზიუმად დარჩება, თუ კონკრეტული საკითხი იმ სიმპოზიუმის ნაწილში არ შეჯერდება მომხსენებლებს შორის, თუნდაც ერთი და თუ ის პოზიტიურ ადამიანებს შორის განიხილება, ნამდვილ საკითხად გამოიკვეთება. ამიტომ ვფიქრობ, რომ თურქებთან, სომხებთან თუ გაგრძელდა ჩვენი ასეთი ურთიერთ თანამშრომლობა, რისი საკმარისი გამოცდილებაც უკვე დავაგროვეთ, შევძლებთ, ვისაუბროთ, დავილაპარაკოთ, შევემზადოთ ფართო ურთიერთობისთვის.

უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი უნივერსიტეტის რექტორატი მსგავს ინიციატივებს ყოველთვის უჭერდა და უჭერს მხარს. იქნება ეს სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, თუ ერთობლივი სიმპოზიუმები. ვფიქრობ, მომავალში შევძლებთ, რომ კიდევ უფრო მეტი მოვახერხოთ და ჩვენმა უნივერსიტეტმა თავისი სათქმელი თქვას სამეცნიერო სამყაროში.

## წიგნის პრეზენტაცია

# „ასპინძა და ასპინძელობა“



**ფილოლოგიის** მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **მერაბ ბერიძის** წიგნის **„ასპინძა და ასპინძელობა” –** პრეზენტაცია, რომელიც ასპინძის სამუსიკო სკოლის დარბაზში 22 ივლისს გაიმართა, რამდენიმე თვალსაზრისით გახლდათ მნიშვნელოვანი. წიგნში დაბეჭდილი მხატვრული და სამეცნიერო მასალები როგორც ასპინძის, ასევე, მთლიანად ისტორიული და თანამედროვე მესხეთის შესახებ, არა მხოლოდ ასპინძელებისთვის, რეგიონის მოსახლეობისთვის თუ ქართველი მეცნიერებისთვის, არამედ უცხოელი მეცნიერებისთვისაც არის საინტერესო და მნიშვნელოვანი. წიგნი ავტორის მხრიდან, წარმოადგენს ერთგვარ ანგარიშს იმ მხარის მიმართ, სადაც დაიბადა, გაიზარდა და საშუალო განათლება მიიღო. მნიშვნელოვანი გახლდათ ის გარემოებაც, რომ პრეზენტაციას ესწრებოდნენ მერაბ ბერიძის ოჯახის წევრები, შვილიშვილები, რომლებმაც დამსწრე საზოგადოებას რამდენიმე მუსიკალური ნომერი აჩუქეს და შეასრულეს ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები.

წიგნის პრეზენტაციას უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების გარდა დაესწრენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, პედაგოგები და სკოლის მოსწავლეები, დაინტერესებული მკითხველთა საზოგადოება.

ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი **ლალი ბერიძე.** ღონისძიებას თავად ქალბატონი ლალი წარუძღვა. მან აღნიშნა, რომ პროფესორ მერაბ ბერიძის წიგნი „ასპინძა და ასპინძელობა“ გახლავთ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ნაშრომებისა და სტატიების კრებული. რედაქტორი არის პროფესორი **როინ ყავრელიშვილი,** რეცენზენტი – პროფესორი **ნესტან სულავა.** წიგნი გამოიცა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში. **როდესაც გავიაზრე წიგნის სათაურის მნიშვნელობა, მივხვდი, რომ ეს არის დიდი პასუხისმგებლობა ბატონი მერაბისათვის იმ ადგილის მიმართ, რომელმაც დააფრთიანა და გაუშვა ცხოვრების გზაზე. სტატია, რომლის სათაურიც გამოტანილია წიგნის სათაურად, ამ გრძნობით არის დაწერილი. დღეს არის იმ მოსავლის აღების დრო, რაც ასპინძის მკვიდრმა მერაბ ბერიძემ მოიჭირნახულა დღემდე.** – აღნიშნა ქალბატონმა ლალიმ და დამსწრე საზოგადოებას პროფესორის ჯილდოებისა და სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ მოახსენა.

დამსწრე საზოგადოებას წიგნის ავტორი მერაბ ბერიძე ესაუბრა. **თუ იშრომებ, ყველაფერი თავისით მოდის.** – აღნიშნა მან და დასძინა, რომ „ასპინძა და ასპინძელობა“ არის წიგნი, რომელიც შედგება სხვადასხვა მიმართულების შრომებისაგან და სტატიებისგან. მასში ერთი ესსეც არის წარმოდგენილი: **წიგნში წარმოვადგინე არა მხოლოდ იმ ტიპის შრომები, რომლებიც მხოლოდ ქართველი მეცნიერებისათვის არის საინტერესო, არამედ უცხოელებისთვისაც. წიგნში მოცემულია ორი ინტერვიუც. ასევე, წიგნში შევიტანეთ ჩემ მიერ დაწერილი სადოქტორო რეცენზიებიც. ჩემს წიგნებს ასპინძის ბიბლიოთეკას გადავცემ საჩუქრად. 1966 წელს, როდესაც სკოლა დავამთავრე და ჩვენი ჯგუფი წავედით და გავცდით ამ ჩვენს პატარა დაბას, ჩვენ ყველაზე დიდი პატრიოტები ვიყავით ასპინძის და ეს პატრიოტიზმი არ იყო დროებითი ხასიათის. ეს პატრიოტიზმი მოგვყვება დღევანდელამდე. მინდა, რომ ყოველი ჩვენგანის ასპინძელობა ყოფილიყოს შედეგიანი.**

წიგნის ასპინძაში პრეზენტაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა გვერდში დგომას. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა **როსტომ მაგრაქველიძემ** განაცხადა, რომ ეს დღე ასპინძელთათვის მისალოცია, რადგან მხარეს ჰყავს ისეთი გულანთებული ქართველები, რომელთაგანაც ერთ-ერთია ბატონი მერაბ ბერიძე. მათი როლი დიდია ქვეყნის განვითარებაში. **როდესაც გავეცანი წიგნს, ვნახე, რომ ავტორი ეხება ჩვენი რეგიონის რამდენიმე ადგილს, მუნიციპალიტეტს, იმ**


მერაბ ბერიძე


დემეტრე ბერიძე

**ისტორიულ ფაქტებს, რომელიც ჩემთვის ცნობილი არ იყო. ასპინძელობა დიდი სიამაყეა. ყოველთვის ვამბობ, რომ ჩვენთან, სამცხე-ჯავახეთში, უნივერსიტეტის შექმნა არის დიდი საქმე. რეგიონში კადრების ნაკლებობა სწორედ ამ უნივერსიტეტმა შეავსო. მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ მერაბს ამ ცოდნის კერის გახსნისთვის. მინდა გისურვოთ წარმატებები.** – აღნიშნა ბატონმა როსტომმა და პროფესორს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მაკა ბერიძემ** დამსწრე საზოგადოებას ბატონ მერაბ ბერიძეზე მოახსენა, როგორც საზოგადო მოღვაწეზე, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა საქართველოს უახლეს ისტორიაში სამცხე-ჯავახეთის მხარის აღმავლობისთვის. მადლობა მოახსენა ბატონ მერაბს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისა და უნივერსიტეტის წარმატებაში შეტანილი წვლილისათვის. ქალბატონმა მაკამ აღნიშნა, რომ წიგნის პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც გაიმართა. **იმ დრომდე, როდესაც უნივერსიტეტი დაარსდა მესხეთში, ბატონი მერაბი უკვე სერიოზული ბიოგრაფიით მოდის. ეს ბიოგრაფია სრულიად საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ წარმატებული მოღვაწეობა გაეგრძელებინა მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ ის დაუბრუნდა მესხეთს. სწორედ მაშინ მოიპოვა ბატონმა მერაბმა მორალური უფლება, რომ ყოფილიყო ავტორი წიგნისა „ასპინძა და ასპინძელობა“. ამ ადამიანის დღემდე მოყვანილი, დღემდე განვლილი წლები, სწორედ ასპინძელობით სულდგმულობდა. მე ვიცი, როგორ სხვაგვარად გრძნობს ბატონი მერაბი ასპინძას, ასპინძელობას, რადგან თითო ყლორტი და თითო ლერწი მის უძვირფასეს ოცნებებს ეალერსება.**


სალომეა ბერიძე

წიგნის შესახებ დამსწრე საზოგადოებას წიგნის რედაქტორმა, პროფესორმა **როინ ყავრელიშვილმა** მოახსენა, ისაუბრა წიგნის ღირებულებებზე და გაიხსენა 90-იანი წლები, თუ როგორ იყრებოდა საფუძველი თურქეთის რესპუბლიკის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და იმდროინდელ მესხეთის ფილიალს შორის. ასევე, დამსწრე საზოგადოებას მოახსენა ბატონი მერაბის თაოსნობით ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებზე, რომელიც ამ ორ მეზობელ უნივერსიტეტებს შორის იმართებოდა. **როდესაც ბატონმა მერაბმა მითხრა, რას ვიტყოდი რედაქტორობაზე, გამიჩნდა ისეთი გრძნობა, მასწავლებელი რომ გეტყვის – იყო მისი წიგნის რედაქტორი... ესე იგი, ჩვენ გავიზარდეთ იმ დონემდე, რომ ნდობა არის. მადლობა ამისთვის, ბატონო მერაბ. ჩვენ უნივერსიტეტის პირველი თაობა ვიყავით და უნივერსიტეტმა გაგვზარდა ასე. რაც შეეხება წიგნს, არის უნიკალური. წიგნში ბატონი მერაბის გულია ჩადებული. სტატიები კი არის მრავალფეროვანი, მაგრამ ყველაფერი უკავშირდება ბატონი მერაბის მეცნიერულ ხედვებს და ამ ხედვებში მოქცეულ სამცხე-ჯავახეთს და ასპინძას.**

წიგნის გამოცემა მიულოცა ბატონ მერაბს გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა **ავთანდილ ბერიძემ**. მან აღნიშნა, რომ მომავალ წელს, ბატონ მერაბს საიუბილეო თარიღი აქვს. ამიტომ, ასპინძელები მოვალენი არიან, ეს დღე ბატონ მერაბს ასპინძაში აღუნიშნონ: **წიგნი დიდი შენაძენია არა მხოლოდ ასპინძელებისთვის, არამედ საქართველოს მოსახლეობისთვის. გარეკანზე გამოტანილი სათაურიც იმაზე მეტყველებს, რომ ასპინძა არის ბატონი მერაბისთვის თავი და თავი. ეს დიდი საჩუქარი, რომელიც ასპინძელებს მოგვიძღვნა, ჩვენთვის სამაგიდო წიგნია.**

**აპინძის საშუალო სკოლას რომ ვამთავრებდი, არჩევანის წინაშე დავდექით – თბილისი თუ აქვე სტუდენტობა?! მშობლებმა თქვეს, კარზე გაგვიხსნა ასპინძელმა კაცმა უნივერსიტეტი და შორს რატომ წავიდეთო, და გავხდი უნივერსიტეტის პირველი თაობის სტუდენტი. ბატონი მერაბი ყოველთვის ცდილობდა შემოეკრიბა ადგილობრივი კადრები და მოემზადებინა უნივერსიტეტისთვის. მე მისი ხელმძღვანელობით დავიცავი დისერტაცია. ბატონ მერაბს მინდა ვუსურვო ჩვეული შემართებით ემსახუროს ჩვენს ასპინძას, მესხეთს და სრულიად საქართველოს.** – აღნიშნა ასოცირებულმა პროფესორმა **მაია ქუქჩიშვილმა.**

**წიგნი „ასპინძა და ასპინძელობა“ ჩემთვის იყო აღმოჩენა, რადგან თქვენ სხვაგვარი აღნაგობის წიგნი შემოგვთავაზეთ, –** აღნიშნა ასოცირებულმა პროფესორმა ნატო ყრუაშვილმა, **– წიგნისადმი დამოკიდებულება მისი სახელწოდებიდან და მისი გარეკანიდან იწყება. წიგნში ბევრი სტატია აღმოვაჩინე ჩემთვის საინტერესო. სტატიამ „ასპინძა და ასპინძელობა“ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს მკითხველს დააფიქრებს იმაზე, თუ ვისი გორისა ხარ. მინდა გისურვოთ წარმატებები.**

**წიგნი არის მასწავლებელი და გზამკვლევი, რადგან მრავალი სპექტრით არის წარმოდგენილი სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული წერილები, არის ინტერვიუები, რეცენზიები, ექსპედიციის ჩანაწერები და ნოველა-ქრონიკა, რომელიც ბატონი მერაბის ლიტერატურულ გემოვნებას წარმოაჩენს. ვინც ჩართული ვართ კვლევებში, ამ თვალსაზრისით წიგნი კარგი მასწავლებელია. ბატონი მერაბი ბევრ კარგ წინადადებას სთავაზობს მკითხველს.** – აღნიშნა დოქტორმა **ნათელა მელიქიძემ.**

პრეზენტაციის დასასრულს, ბატონმა მერაბმა კიდევ ერთხელ მოახსენა მობრძანებულ სტუმრებს მადლობა და კეთილი სურვილებით დაემშვიდობა.

***ლიკა ზაზაშვილი***







# საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვა მაღალი სტანდარტებით

**18- 21 ივნისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვა გაიმართა. ისტორიის, ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის სპეციალობის 42 სტუდენტმა წარმატებით გაართვა თავი ნაშრომების დაცვას და კომისიის წევრების მხრიდან შესაბამისი შეფასებები დაიმსახურეს.**

**როგორ წარიმართა და რა შედეგები აჩვენეს სტუდენტებმა ნაშრომების დაცვაზე, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, ასოცირებულ პროფესორს გულიკო ბექაურს გავესაუბრეთ.**



***– ქალაბატონო გულიკო, მოგვიყევით საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის წინაპირობაზე.***

– საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა შემოდგომით დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოზე, პროგრამების ხელძღვანელების წარდგენით. პირადად ყველა მიმართულების საქმიანობაში ჩავერთე. თემები დეკანატში იყრის თავს და მქონდა შესაძლებლობა, წამეკითხა ნაშრომები. სტუდენტებმა საკმაოდ სერიოზული კვლევევები წარმოადგინეს.

სამაგისტრო ნაშრომების დაცვა სავალდებულოა ყველა მაგისტრანტისთვის, ხოლო საბაკალავრო საფეხურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ირჩევს ან საგანს, ან საბაკალავრო ნაშრომს. თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, მაღალია სტანდარტები, განსაკუთრებით სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით. უნდა იყოს გამოკვეთილი სამეცნიერო მიმართულება, კვლევა. ფაკულტეტის საბჭოს სხდომზე, 5 ივლისს, სტუდენტებს კვალიფიკაცია მივანიჭეთ და ეს კურსდამთავრებულები დიპლომირებული ბაკალავრები და მაგისტრები არიან. მინდა განვაცხადო, რომ ისინი ღირსეულად წარსდგებიან ნებისმიერ სამსახურში.

***– როგორ ჩაიარა თემების დაცვის პროცესმა?***

– რა თქმა უნდა, ყველა ერთნაირ დონეზე ვერ დაწერს თემას, რადგან შესაძლებლობები ინდივიდუალურია. თემების წლევანდელმა დაცვამ კიდევ უფრო მეტი მოტივაცია გამიჩინა, რომ მეტი პასუხისმგებლობით დავიწყოთ ამ კუთხით მუშაობა. საინტერესო იყო, რომ სტუდენტებმა იმუშავეს თავიანთი რეგიონის პრობლემებზე. ეს უნივერსიტეტის მიმართულებაცაა – რეგიონის პრობლემატიკა წამოვწიოთ წინ და ამ კუთხეში დაბადებულმა ახალგაზრდებმა იმუშაონ ამაზე.

მინდა გამოვკვეთო განსაკუთრებით წარჩინებული სტუდენტები, რომლებმაც წლევანდელი წელი დაამთავრეს გამორჩეულად. საბაკალავრო პროგრამიდან დავასახელებ ისტორიის სპეციალობის სტუდენტს **დიანა ვედიაკოვს,** თემის ხელმძღვანელი – პროფესორი **როინ ყავრელიშვილი**. სამაგისტრო პროგრამებიდან ღირსეულად წარსდგა **ქრისტინა გაბიანი,** ლიტერატურის ისტორიის მიმართულების მაგისტრანტი. თემის ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი **ნესტან სულავა.** რაც შეეხება ქართველურ ენათმეცნიერებას, საინტერესო კვლევა წარმოადგინა **ლელა თელიაშვილმა,** ხელმძღვანელი – პროფესორი **მერაბ ბერიძე.** კვლევის სიღრმემ, რომელიც ლელამ წარმოადგინა, მოლოდინს გადააჭარბა. იყვნენ ბევრი სხვა წარმატებული სტუდენტები. მქონდა განცდა, რომ ეს ის ახალგაზრდები არიან, ვინც ღირსეულად შეძლებენ, ჩვენს გვერდით იდგნენ, გააგრძელონ საქმე, იმუშაონ და განავითარონ უნივერსიტეტი.

საინტერესო იყო დაწყებითი სპეცილაობის სტუდენტების გამოსვლები, რომლებმაც სწავლა გააგრძელეს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის ისტორიის მიმართულებებზე. როდესაც საბაკალავრო პროგრამას ამთავრებს სტუდენტი, ჩემი მოსაზრებაა, რომ მან იგივე მიმართულებით გააგრძელოს შემდგომ საფეხურებზე სწავლა, რათა უფრო გაიღრმაოს ცოდნა მისი სპეციალობის მიმართულებით. იმ აზრს, რომ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სხვა მიმართულებით ისწავლოს სამაგისტრო პროგრამაზე, ნაკლებად ვემხრობი. რომ მოვისმინე ასეთი მაგისტრანტების გმოსვლა და ვნახე, როგორ ღირსეულად წარსდგნენ თემების დაცვაზე, ჩემი წარმოდგენა ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით შეიცვალა.

***– თქვენ ახსენეთ, რომ ყველა სტუდენტის შესაძლებლობა განსხვავებულია. ალბათ, საბაკალავრო და სამაგისტრო თემების დაცვამ ბევრი ისეთი სტუდენტი წარმოაჩინა, რომელთა შესაძლებლობები დაცვის დროს აღმოაჩინეთ.***

– დიახ, ეს ასე იყო. ჩვენ პირველი კურსიდან რომ შევამჩნევთ სტუდენტს, რომელიც არის აქტიური, აქვს შესანიშნავი უნარები, ხშირად მათზე ვახდენთ კონცენტრირებას. მაგრამ შეიძლება მის გვერდით სხვა სტუდენტს ძალიან კარგი კელევის უნარი ჰქონდეს, რომელიც ვერ ამჟღავნებს და აი, აქ გვინდა მისი შემჩნევა. ყველა განსხვავებულია. ვიღაცას ადილად შეუძლია თავისი შესაძლებლობების წარმოჩენა, ვიღაცას არა. ამიტომ, პირველკურსზევე ყველა მათგანი კარგად უნდა შევისწავლოთ. თემების დაცვამ გვაჩვენა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღირსეულ და განათლებულ თაობას ზრდის.





***ლიკა ზაზაშვილი***

# როინ ბერიძის გამარჯვებული პროექტი

**კრისტალის „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლას“ სამცხე-ჯავახეთიდან კიდევ ერთი წარმატებული კურსდამთავრებული ჰყავს. როინ ბერიძე ნინოწმინდის რაიონის მკვიდრია. მან ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლაში, პროგრამა Yes-Georgia-ს ფარგლებში, წარმატებით გაიარა სწავლების ორივე ეტაპი და ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა. მისი ბიზნეს იდეა, რომელიც კარტოფილის დაწვიმებით სარწყავ სისტემას შეეხებოდა, საინვესტიციო კომისიისაგან დადებითად შეფასდა და ფინანსური მხარდაჭერაც მიიღო. „კრისტალის ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლის“ სწავლება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლიდან მიმდინარეობს და მისი მიზანი ახალგაზრდებში სამეწარმეო უნარების განვითარებაა. ამ მიმართულებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო კურსს უძღვება კონკურსის წესით შერჩეული ფასილიტატორი, პროფესორი როინ თათეშვილი.**

**შეგახსენებთ, რომ „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა“ პროგრამა Yes-Georgia-ს ფარგლებში ხორციელდება 2015 წლის სექტემბრიდან ფონდი კრისტალის მიერ სს მისო „კრისტალთან“ და PH International-თან ერთად, რომელთაც 2018 წელს შემოუერთდა junior eCivmenti (JAG). პროგრამას ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).**

**როინ ბერიძემ პროგრამა Yes-Georgia-ს ფარგლებში არა მხოლოდ დაფინანსება მიიღო, არამედ შეისწავლა მეწარმისთვის საჭირო უნარები და ინსტრუმენტები, როგორ ექცია საკუთარი ბიზნეს იდეა ბიზნეს მოდელად, ასევე, „ბიზნეს მოდელის ტილოს” შექმნა, ბიზნეს-პროექტის წერა და ფინანსური დაგეგმარება, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლობას როინ თათეშვილსა და პროექტის ხელმძღვანელს ნინო ლაგვილავას უხდის.**



**Yes-Georgia-ს ხელმძღვანელი ნინო ლაგვილავა:**

როინ ბერიძეს პირველად ახალციხეში შევხვდი სამეწარმეო ტრენინგზე, რომელსაც წარმატებით უძღვება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი როინ თათეშვილი. ძალიან მომეწონა როინის პრეზენტაცია, რომელიც მის სოფელში სარწყავი სისტემის მოწყობას გულისხმობდა. მან პროექტი წარადგინა კრისტალის საინვესტიციო კომიტეტთან. როინს ჰქონდა ძალიან კარგი პრეზენტაცია. მან დაარწმუნა კომიტეტი, რომ მის სოფელს ჰაერივით სჭირდებოდა ამ ტიპის სარწყავი სისტემა. მისი შეძენა და ქირაობა ძვირი ჯდებოდა, რისი საშუალებაც მოსახლეობას არ ჰქონდა. ამიტომ, როინმა აღნიშნა, რომ მათი მოსავალი ფუჭდებოდა და მცირდებოდა. კომისიამ გულთან მიიტანა ეს პრობლემა. როინის დახმარებით, ჩვენ მთელ სოფელს დავეხმარეთ. მიდა, წარმატებები ვუსურვო როინს და სოფელ სპასოვკას. ვუსურვებ სოფელს უხვმოსავლიანობას და კეთილდღეობას, გახდა ახალგაზრდა მეწარმე. ვუსურვებ მას შემდგომ წარმატებებს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სასწავლო პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ასევე, სკოლის მოსწავლეები. ისინი აღნიშნავდნენ, რომ „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა“ პროფესიის არჩევისას გარკვეულ როლს შეასრულებს. „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლის“ მსმენელებმა სხვა პროექტებში წარმატებას მიაღწიეს. ერთ-ერთმა მონაწილემ – ქეთიმ, ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ბიზნეს-იდეების კონკურსში გაიმარჯვა და განაცხადა, რომ ეს „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლის“ დიდი დამსახურებაა.

უახლოეს მომავალში, სახელმწიფოს მხრიდან იგეგმება საგრანტო პროექტები „საოჯახო სასტუმროს“ მოწყობასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, აქაც აქტიურად ჩაერთვებიან „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლის“ კურსდამთავრებულები. განსაკუთრებით, თამთა, რომელიც გეგმავს აწყურში საოჯახო ტიპის სასტუმროს მოწყობას, ასევე, თამარი, რომელსაც ხერთვისში აქვს საოჯახო სასტუმრო და გეგმავს მის გაფართოებას.

ყველა კურსდამთავრებულს ვუსურვებ წარმატებას და აღვნიშნავ, რომ მეწარმეთა სკოლაში შეძენილი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება არა მხოლოდ „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლის“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ. მაქვს ინფორმაცია, რომ სკოლა კვლავ ელის ახალ ჯგუფს. მოვუწოდებ ახალგაზრდებს, იაქტიურონ, გახდნენ ახალგაზრდა მეწარმეები და მართონ საკუთარი ბიზნესი.



**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო კურსის ფასილიტატორი, პროფესორი როინ თათეშვილი:**

სამცხე-ჯავახეთის ახალგაზრდობას კიდევ ერთი უნიკალური შანსი ეძლევა, „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლის“ ფარგლებში, შეისწავლონ მეწარმისთვის საჭირო უნარები და ინსტრუმენტები, მოამზადონ საუკეთესო პროექტები, მიიღონ დაფინანსება და გახდნენ თვითდასაქმებულები – „ახალგაზრდა მეწარმეები“.

უკვე მეორე ნაკადმა დაასრულა სასწავლო კურსი, სადაც 14 ახალგაზრდა იყო აქტიურად ჩართული. კურსს ჰყავს გამარჯვებული როინ ბერიძე, რომლის ბიზნეს იდეამ მოწონება დაიმსახურა და კონკურსში გამარჯვების შემდგომ დაფინანსდა.



**როინ ბერიძე:**

მოგესლმებით. მე ვარ როინ ბერიძე. ვცხოვრობ ნინოწმინდის რაიონის სოფელ სპასოვკაში და ვსწავლობ ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მე-4 კურსზე.

მინდა ყველფერი დავიწყო თვიდან. მოგახსენებთ, რომ პროგრამის შესახებ გავიგე ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში. ვნახე განცხადება, თუ როგორ უნდა დავრეგისტრირებულიყავი ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლში. აქედან დაიწყო ყველაფერი. დავრეგისტრირდი იმავე დღეს და გადავაგზავნე პროექტი. დამირეკეს და მითხრეს, რომ შერჩეული ვიყავი ახალგაზრდა მეწარმის სკოლაში და გამაცნეს ტრენინგების განრიგი, რომლებიც ტარდებოდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მინდა გითხრათ, რომ პროექტის წყალობით ბევრი მეგობარი შევიძინე. ტრენინგებს ატარებდა ბატონი როინ თათეშვილი. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ როინს, რადგან მან გაგვიზიარა და შეგვასწავლა მეწარმისათვის საჭირო უნარები, თვისებები და კარგად აგვიხსნა, თუ როგორ უნდა დავწეროთ ესა თუ ის პროექტი. ჩემს წარმატებაში დიდი წვლილი სწორედ მას მიუძღვის.

რადგან შევისწავლე მეწარმის თვისებები და ვიცოდი, როგორ უნდა გამეკეთებინა პროექტის პრეზენტაცია, მოვემზადე დასკვნითი დღისათვის ახალციხეში.

პრეზენტაციას დაესწრო პროექტის ხელმძღვანელი ქალბატონი ნინო ლაგვილავა, რომელმაც მომიწონა პროექტი და მირჩია, დამეხვეწა გარკვეული პუნქტები. მოხდა კიდევ ერთი შერჩევა და მიმიწვიეს თბილისში, ორდღიან შეკრებაზე. ორი დღის განმავლობაში გვიტარებდნენ ტრენინგებს გიორგი თუხაშვილი და ლაშა მიქალთაძე, ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით – მონიკა ფილიშვილი. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა მათგანს.

ამის შემდეგ მოხდა კიდევ ერთი შერჩევა. პროექტის ხელმძღვანელებთან წარვადგინე ჩემი პროექტის პრეზენტაცია. ჟიურის წინაშე წარდგენით მეც კმაყოფილი ვიყავი და რვაკაციანი ჟიურიც კმაყოფილი ჩანდა.

ამის შემდეგ მოხდა ჩემი პროექტის დაფინანსება, რითიც შევიძინე კარტოფილისათვის სარწყავი სისტემა. სისტემა უკვე ავამუშავეთ და ასე დავეხმარე ჩემი სოფლის მოსახლეობას. ამისათვის ვიღებ მატერიალურ სარგოსაც.

პროექტში გამარჯვებამ ამიმაღლა მოტივაცია, რომ მეტი გავაკეთო. ეს მხოლოდ დასაწყისია. მადლობა ყველას, ვინც მომცა ცოდნა და გამოცდილება, სამომავლოდ მეტის მიღწევისათვის.



# საჯარო ლექცია ასპინძის ციხის ტერიტორიაზე

**პირველი** ქვეითი ბრიგადის მე-13 ქვეითი ბატალიონის სტრუქტურული ერთეულების სამეთაურო რგოლისთვის, 29 ივლისს, გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე – **„ასპინძის ბრძოლა, საბრძოლო სტრატეგია და ტაქტიკა“.** ბატალიონის ხელმძღვანელობამ, რომლის დისლოკაციის ადგილი არის ახალციხე, შტაბის უფროსის, მაიორის – **თენგიზ გობაძის** იდეას მხარი დაუჭირა და გადაწყვიტა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურის დახმარებით, ლიდერთა ჯგუფისთვის, ისტორიული, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული სალექციო კურსები ჩაეტარებინა. ამ მიზნით, პირველი ქვეითი ბრიგადის მე-13 ქვეითი ბატალიონის ვიცეპოლკოვნიკი **ვლადიმერ ნათენაძე,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს **მაკა ბერიძეს** შეხვდა. შეთანხმება შედგა. პირველ ეტაპზე, პირველი ქვეითი ბრიგადის მე-13 ქვეითი ბატალიონის სამეთაურო რგოლისთვის, სამი ლექცია ჩატარდება. პირველი საჯარო ლექციის წაკითხვა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს, სამეცნიერო დარგში, პროფესორ **მერაბ ბერიძეს** ხვდა წილად. ლექცია ასპინძის ციხის ტერიტორიაზე გაიმართა.

სალექციო კურსების მიზანზე, ლექციის დაწყებამდე, პირველი ქვეითი ბრიგადის მე-13 ქვეითი ბატალიონის ვიცეპოლკოვნიკი **ვლადიმერ ნათენაძე** გვესაუბრა. მან გვითხრა, რომ გეგმავენ ზემდგომს შესთავაზონ, გაფორმდეს მემორანდუმი თავდაცვის სამინისტროს, მათ სტურუქტურულ ქვედანაყოფსა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის. **ჩვენს ყველა სტრუქტურულ ერთეულს ჰყავს სამეთაურო რგოლი, რომლებიც ხელმძღვანელობენ სხვადასხვა დონის ქვედანაყოფებს. მათ უნდა ჰქონდეთ სამეთაურო და ლიდერული უნარ-ჩვევები. გვინდა, რომ ამ კუთხით, ისტორიულ ადგილებში, პრაქტიკული ლექციების ჩატარებით, შევახსენოთ ჩვენს ლიდერთა შემადგენლობას, მაშინ, როდესაც არ იყო ლიდერის უნარ-ჩვევების გაკვეთილები და ის ტექნიკური საშულებები, რომლებიც დღეს არსებობს, ჩვენი წინაპრები როგორ ინარჩუნებდნენ და როგორ მოიყვანეს დღემდე ჩვენი ქვეყანა. ლიდერების განვითარება ხელს გვიწყობს მცირე ზომის ქვედანაყოფების მეთაურების გნვითარებაში, რაც პასუხობს ზემდგომისა და თავდაცვის მინისტრის ხედვას ამოცანის მართვისა და პრინციპების დანერგვაში.** – აღნიშნა ვლადიმერ ნათენაძემ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მერაბ ბერიძე პირველი ქვეითი ბრიგადის მე-13 ქვეითი ბატალიონის ვიცეპოლკოვნიკმა ვლადიმერ ნათენაძემ წარადგინა: **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა თავისი საქმით ემსახურება ქვეყანას, გვეხმარებიან, უფრო უკეთესად გავერკვეთ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ვინ ვართ, ვისი გორისა ვართ, როგორ მოიტანეს ჩვენმა წინაპრებმა ენა, მამული, სარწმუნოება დღემდე.**

ბატალიონის ხელმძღვანელობას ნდობისთვის პროფესორმა მერაბ ბერიძემ მადლობა მოახსენა: **როდესაც სამხედროები და პროფესურა ერთად იქნებიან, იმ ქვეყანას, დარწმუნებული ვარ, წარმატება ყოველთვის თან სდევს. ამიტომ, მინდა თქვენს ხელმძღვანელობას მადლობა მოვახსენო ამ ინიციატივისთვის, რამაც შედეგი მოგვცა და დღეს ერთად ვართ.**

ლექცია რამდენიმე ნაწილად წარიმართა. თავდაპირველად, ბატონმა მერაბმა მიმოიხილა ასპინძის ციხის მიმდებარე ტერიტორია და ისაუბრა ამ ადგილების სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, შემდეგ მიმოიხილა ასპინძის ბრძოლა, ისაუბრა ერეკლე მეფის გონიერ გადაწყვეტილებებზე და ამ ბრძოლაში გამარჯვების მიზეზებზე. აღნიშნა, რომ ასპინძა სპარსული სიტყვაა და ქართულად „სასტუმროს“ ნიშნავს. **დღეს ჩვენ ვიმყოფებით სამცხის, ჯავახეთისა და ერუშეთის შესაყარ ადგილას. ამ ადგილისათვის დამახასიათებელი გახლავთ ორი უმთავრესი რამ. ეს არის მდინარე მტკვარი და გზაჯვარედინობა ამ ადგილის. გზები, რომელიც ამ ადგილზე იყრებოდა, მიდიოდა ევროპისკენ, სომხეთისკენ, სპარსეთისკენ, ქართლისკენ, დასავლეთ საქართველოსკენ. ეს ყველა გზა იყრის თავს ასპინძაში. ამიტომ, პრივილეგირებული მდოგმარეობა ასპინძას ყოველთვის ჰქონდა. ასპინძის ხელში ჩაგდება ნიშნავდა ამ გზების გაკონტროლებას. ამიტომ, არ არის შემთხვევითი, რომ აქ მოხდა ასპინძის ბრძოლა.**



შემდეგ პროფესორმა უშუალოდ ასპინძის ბრძოლის შესახებ ისაუბრა, რომელიც 1770 წლის 20 აპრილს ერეკლე II-ის სარდლობით ოსმალეთის ლაშქართან მოხდა. **ასე დავსვათ საკითხი – რა უნდოდა ქართლ-კახეთის მეფეს ასპინძაში, რომელიც მისი არ იყო მაშინ? ეს ქართული მიწაა, მაგრამ ის ოსმალეთის შემადგენლობაში იყო, როგორც ახალციხის საფაშო და როგორც გურჯისტანის ვილაიეთი. რატომ მოდის ერეკლე აქ?** მერაბ ბერიძემ ეს საკითხი მასშტაბურად განიხილა. ისაუბრა რუსეთ-ოსმალეთის (1768-1774 წწ.) მიმდინარე ომზე, 1770 წლის მარტში სურამში რუსთა ჯარისა და ქართველთა ჯარის შეერთების თაობაზე, ტოტლებენის უკან გაბრუნებაზე. ჯარისკაცებს მოახსენა ერეკლე მეფის იმ მიმართვაზე, რომელმაც ტოტლებენის უკან გაბრუნების შემდეგ მებრძოლების ფსიქოლოგიურ მომზადებას შეუწყო ხელი. ჯარის განლაგებაზე, ერეკლე მეფის ინიციატივით, მტკვარზე გადასასვლელი ხიდის თავხეების გადაჭრაზე. აღნიშნა, რომ მტერმა ბრძოლის ველზე 4 ათასი მოკლული დატოვა. დაღუპულთა შორის იყვნენ ოსმალთა კორპუსის მთავარსარდალი, რამდენიმე ცნობილი ფაშა და ბეგი. ერეკლემ ორთაბრძოლაში მოკლა ლეკთა ბელადი მალაჩილა (კოხტა-ბელადი). **ომს თავისი სტრატეგია აქვს. ერეკლე მეფემ ტაქტიკური ყველა ხერხი გამოიყენა იმისთვის, რომ ეს ბრძოლა გამარჯვებულს მიეყვანა ბოლომდე. უპირველესი, რაშიც ქართული ჯარი იყო ცნობილი, არის ის, რომ გამოირჩეოდა მასზე ბევრად უფრო მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლით. ეს ბრძოლის სულ სხვა ხერხია, რომელიც არის ძალიან მძიმე, მაგრამ ეყრდნობა ერთგულებას, ძლიერებას, დიდ გამოცდილებას, აღჭურვილობას. მნიშვნელოვანი დეტალია ბრძოლის წინ მტკვარზე გადასასვლელი ხიდის თავხეების გადახერხვა. აქ გაიმარჯვა ქვეყნის სიყვარულმა, დიდმა გამოცდილებამ და ძალამ.** – აღნიშნა მან.

ვიცეპოლკოვნიკმა ვლადიმერ ნათენაძემ ბატონ მერაბს მადლობა მოახსენა საინტერესო საუბრისთვის და და სთხოვა ბატალიონის ლიდერთა შემადგენლობას, ლექციასთან დაკავშირებით, მოსაზრებები გამოეთქვათ.

**ბატონმა მერაბმა ისაუბრა ერეკლე მეფის ლიდერულ უნარებზე. ლიდერიზმი, დღესაც არის სამხედრო მეცნიერებაში. უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომ განხვავებული ლიდერები იყვნენ – მეფეები, თავადები და სხვა. დღესაც არის ასე, არის ჯარი, არსებობს სხვა სტრუქტურები, რომლებთანაც ვურთიერთობთ სხვადასხვა დროს და ყველას აქვს თავისი პოლიტიკური და სამხედრო ინტერესები. ამისი მაგალითია, თუნდაც, 2008 წელი. გავიხსენოთ, რამდენი ლიდერი მონაწილეობდა ამ ბრძოლაში. ასევე, ბრძოლის ველის სადაზვერვო მომზადება, ანუ ანალიზი ბრძოლის ველის შესანიშნავად არის ასპინძის ბრძოლაში წარმოჩენილი, თუნდაც, ხიდის თავხეების გადაჭრის მაგალითი ავიღოთ.** – აღნიშნა მე-13 ბატალიონის შტაბის უფროსმა, მაიორმა **თენგიზ გობაძემ** და რეგიონის იმდროინდელ გეო-პოლიტიკურ მდგომარეობაზე ისაუბრა: **ამ გეო-პოლიტიკას მინდა დავუკავშირო ჩვენი ბატალიონის ახლანდელი მდებარეობა, დისლოკაციის ადგილი ახალციხე და ჩვენი მოქმედების არეალი სამცხე-ჯავახეთი. მაშინ სავაჭრო გზების კონტროლი პირდაპირ იყო დაკავშირებული ეკონომიკურ სიძლიერესთან. დღესაც სამცხე-ჯავახეთში ხორციელდება ყარსი-ახალქალაქის პროექტი. დღესაც ვხედავთ, რამდენად დიდია ინტერესი ჩვენი რეგიონისადმი, რამდენი ქვეყნის მმართველი ცდილობს, გეგმა მათთვის სასიკეთოდ წაიყვანოს. ამაზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება.**

ლექციასთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქვეს ლეიტენანტმა **ბექა კურტანიძემ,** სერჟანტმა **არკადი კასრაძემ,** B ასეულის სერჟანტმა, უფროსმა სერჟანტმა **გიორგი ბურდულმა,** უფროსმა ლეიტენანტმა **ლევან მაჩაიძემ,** იუნკერმა **იოსებ ჩარელაშვილმა.** მათ აღნიშნეს, რომ ბრძოლაში სტრატეგია, ლიდერის როლი, ფსიქოლოგიური მომზადება, რეზერვის როლი, მოტივაცია – მნიშვნელოვანია გამარჯვებისთვის. ეს ყველა კრიტერიუმი, მათი განმარტებით, ასპინძის ბრძოლის დროს კარგად გამოიკვეთა.

ლექციის შემდეგ, ბატალიონის წარმომადგენლებმა **ერეკლეს ნახიდარიც** მოინახულეს. იმსჯელეს, გამოთქვეს მოსაზრებები. ისაუბრეს ლექციის მნიშვნელობაზე და მსგავსი ლექციების გაგრძელების აუცილებლობაზე.

შემდეგ საჯარო ლექციას ახალციხეში, პირველი ქვეითი ბრიგადის მე-13 ქვეითი ბატალიონის ლიდერთა ჯგუფისთვის პროფესორი **როინ ყავრელიშვილი** ჩაატარებს.

# მოხალისეობის ფორუმი ~ 2019

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტში, 18 ივნისს, სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ფორუმი გაიმართა. მასში 20-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციისა და საჯარო სამსახურის წარმომადგენლები ღებულობდნენ მონაწილეობას.

ფორუმის მუშაობა დაიწყო კონფერენციით, რომელიც მიჰყავდა დემოკრატ მესხთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს **ჯაბა ნათენაძეს.** მან ახალგაზრდებს მოუწოდა, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოხალისეობრივ საქიანობაში და, ამასთან, მადლობა მოახსენა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

დამსწრე საზოგადოებას პირველმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარემ **ლიკა კილაძემ.** აუდიტორიის წინაშე მისასალმებელი სიტყვით წარსდგა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის პროექტის წარმომადგენელი **თემურ ჯალიაშვილი.**

**მინდა, მადლობა ვუთხრა უნივერსიტეტის რექტორს, რადგან ასეთი ტიპის მხარდაჭერა საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან არის სიმბოლური და მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ ერთიანობაში დავინახოთ სურათი, თუ როგორ უნდა იყვნენ ახალგაზრდები ჩართული სამოქალაქო საქმიანობებში. მოხალისეობა არ არის ახალი თემა ქართველებისთვის. მოხალისეობას ასაკი არ აქვს. მოხალისეობა ეს არის შრომა საკუთარი თავის სასიკეთოდ და ეს უკავშირდება თავისუფალი დროის საინტერესოდ გატარებას. ვფიქრობ, ეს ახალგაზრდები ამ შესაძლებლობის გამოყენების სურვილით მოვიდნენ ამ ღონისძიებაზე.** – აღნიშნა ლიკა კილაძემ.

ფორუმის მონაწილეებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მაკა ბერიძე: უნივერსიტეტი, ძირითადად, ფორმალური განათლებით გახლავთ დაკავებული, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით არაფორმალური განათლების მნიშვნელობა და იმ უნარების განვითარების მნიშვნელობა, რომელიც მოქალაქედ აყალიბებს ახალგაზრდას. მიხარია, რომ დღეს მივედით იქამდე, რომ მოქალაქეობა არ ნიშნავს მხოლოდ პასპორტით, ან საჯარო რეესტრით დადასტურებულ ცხოვრებას საქართველოში. მოქალაქეობა მოითხოვს შეგნებას, პატიოსნებას და მე დავამატებდი, მოქალაქეობა მოითხოვს განათლებას და უნარების ფლობასაც. პირველ რიგში, მოხალისეობა არის მზაობა, არის ხმამაღალი განაცხადი – იქცე შენი ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქედ.**

ორმხრივი მოხალისეობის **პლატფორმის „დროის ბანკის“** პრეზენტაცია წარმოადგინა ექსპერტმა **ავთანდილ მაჩიტაძემ.** განსაკუთრებული სითბოთი შეხვდა აუდიტორია მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს გამარჯვებულს, სამოქალაქო განათლების პედაგოგს **ლადო აფხაზავას,** რომელმაც ისაუბრა სკოლებში მოხალისეობრივი უნარების განვითარებასა და სათემო პროექტებზე. **ასეთი ფორუმების გამართვა ძალიან კარგია, რადგან დიდი ცოდნის გაზიარების საშუალებას იძლევა. მე პირადად, ბევრ სხვადასხვა ორგანიზაციას გავეცანი. იყო კარგი პრეზენტაციები, რაც იმას ნიშნავს, რომ ბევრი რამ შეიძლება ჩემი სკოლისთვის გავიზიარო. ასეთი ფორუმები იძლევა საშუალებას, დაიბადოს იდეები, განხორცილდეს სხვადასხვა პროექტები მოსწავლეებში, რადგან მათ მოხალისეობის უნარები ჩამოუყალიბდეთ. ასევე, ამით მივცემთ შესაძლებლობას ახალგაზედებს, თავადაც გამოვიდნენ სხვადასხვა ინიციატივით.** – აღნიშნა ბატონმა ლადომ.

მოხალისეობის მნიშვნელობის შესახებ მოახსენა მსმენელებს პოეტმა **თათული ღვინიანიძემ.**

ბოლოს, ფორუმის მონაწილე მოხალისეობის მსურველები გაეცნენ თითოეული ორგანიზაციის საქმიანობას და შეავსეს ანკეტა-კითხვარები. ჩვენ მოხალისეობის ფორუმის მონაწილე რამდენიმე ორგანიზაციის წარმომადგენელს გავესაუბრეთ.

მშობელთა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა **მაია გაჩეჩილაძემ** აღნიშნა, რომ მათი ორგანიზაცია შეზღუდული შესაძლებლობის პირთა საუკეთესო ცხოვრების მოწყობაზე, განვითარებასა თუ გარემოსთან ადაპტირებაზე მუშაობს. მათ მოხალისეები გასულ წელს ჰყავდათ, ამიტომ ფიქრობენ, რომ ახალგაზრდების დაინტერესების შემთხვევაში, ამ წელსაც მოხალისეობრივი თანამშრომლობა საინტერესო და ნაყოფიერი იქნება.

პროექტების მართვის სააგენტოთი, ძირითადად, აგრარული მიმართულების სტუდენტები არიან დაინტერესებული. ამ სპეციალობის სტუდენტები ამ ორგანიზაციაში პრაქტიკას ყოველ წელს გადიან. ორგანიზაციის წარმომადგენელი **ლიანა თედორაძე** ამბობს, რომ ისინი სტუდენტებს არა მხოლოდ მოხალისეობის, არამედ დასაქმების პერსპექტივასაც სთავაზობენ: **ჩვენ უნივერსიტეტთან დიდი ხნის თანამშრომლობა გვაქვს და მიხარია, რომ სტუდენტები არიან დაინტერესებული ამ სფეროთი. რა თქმა უნდა, ეს თანამშრომლობა მოხალისეობრივი თუ დასაქმების ფორმით, აუცილებლად გაგრძელდება.**







მწვანე სახლის ფსიქოლოგის თანაშემწემ **ნინო მელიქიძემ** გვითხრა, რომ მწვანე სახლი ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრია. ის ემსახურება როგორც ბავშვებს, ასევე, მშობლებსაც და საზოგადოების ნებისმიერ წევრს. **ძალიან კარგია მოხალისეობის პრაქტიკა. ბევრმა არ იცის ამ ორგანიზაციისა და მისი საქმიანობის შესახებ. გვაქვს საქმიანობები, რომელშიც სტუდენტებიც და სხვა ახალგაზრდებიც არიან ჩართული. ჩვენ მოხალისე ახალგაზრდებს სიამოვნებით მივიღებთ და ვფიქრობ, საინტერესოდ ვითანამშრომლებთ.**

ახალქალაქის ბიზნეს ცენტრის წარმომადგენელმა **მახარე მაცუკატოვმა** აღნიშნა, რომ ცენტრი სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობს მსურველებს: **ამ ეტაპზე ჩვენ ახალგაზედებს სხვადასხვა ტრენინგებს ვთავაზობთ სრულიად უსასყიდლოდ. ვურჩევდი მათ ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას. ვფიქრობ, ბევრ საინტერესო ინფორმაციას მიიღებენ.**

ალვნიშნავთ, რომ ღონისძიების ორგანიზატორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატ მესხთა კავშირი“, პროექტის დამფინანსებელი ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელი კონრად ადენაუერის ფონდი.

*გვერდი მოამზადა*
***ლიკა ზაზაშვილმა***



# ამირან გოგოლაძე – M1GLOBAL-ის რეკორდსმენი!

მსოფლიო რეიტინგში შვიდი მოგება, ერთი წაგება. 7 მოგებიდან, 4 ნოკაუტით მოპოვებული გამარჯვება, 2 მახრჩობელა ილეთით, ერთი – ქულებით. ამ წარმატებული რეიტინგის მიღმა 21 წლის ამირან გოგოლაძე დგას, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი. ის სპოტრის სახეობის – შერეული ორთაბრძოლების ანუ ბრძოლა წესების გარეშეს მებრძოლია. მისთვის პროფესიულ რინგზე გონგი წესით განსაზღვრულზე ნაკლებჯერ რეკავს. ბრძოლებს პირველ რაუნდშივე, რამდენიმე წამში ასრულებს და საქართველოს დროშას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ამაყად აფრიალებს. ამჟამად, ამირანი შერეული ორთაბრძოლების ერთ-ერთი რეიტინგული სპორტული ორგანიზაციის M1GLOBAL-ის – წევრია. ის არამხოლოდ წევრი, არამედ, ყველაზე ნაკლებ დროში მოგებული ბრძოლის თვალსაზრისით, ამ ორგანიზაციის რეკორდსმენიცაა. ოცნებობს ყველაზე ავტორიტეტულ ამერიკულ სპორტულ ორგანიზაციაში – UFC-ში მოხვედრას. ინტერვიუდან შევიტყობთ, რომ მას ამ ოცნების ასრულებამდე სულ მცირე გზა აქვს დარჩენილი.

ამირან გოგოლაძე დაიბადა 1997 წლის 9 დეკემბერს, ბორჯომის რაიონის სოფელ დგვარში. მერვე კლასამდე ამავე სოფლის საჯარო სკოლაში სწავლობდა. ოჯახის საცხოვრებლად გადასვლის გამო, ქალაქ რუსთავში გააგრძელა სწავლა ძმასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ სპორტის სხვადასხვა სახეობით პატარაობიდანვე იყო დაკავებული, შერეული ორთაბრძოლებით რუსთავში დაინტერესდა. სპორტულ დარბაზში, სადაც პატარა ძმა – ლაშა ჭიდაობის წრეზე დაჰყავდა, ბევრი პროფესიონალი სპორტსმენი ვარჯიშობდა. თავადაც გაუჩნდა სურვილი, დაეწყო მომზადება, მაგრამ ოჯახი უკან, დგვარში დაბრუნდა საცხოვრებლად, თავად კი ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლაში გააგრძელა სწავლა. სკოლაში კარგი მოსწავლე იყო. მის ოთახს არაერთი სიგელი ამშვენებდა. ახალციხეში ზურა ნაროზაულის ხელმძღვანელობით გახსნილ კინგ-ბოქსის წრეზე დაიწყო სიარული. შემდეგ, როდესაც, გაიხსნა შერეული ორთაბრძოლების სავარჯიშო დარბაზი მიშა მესხის ხელმძღვანელობით „მე-13 ლეგიონი“, ამირანი სავარჯიშოდ ამ ჯგუფს შეუერთდა. მხოლოდ რინგზე ასვლას ოცნებობდა, პროფესიონალურ რინგზე ბრძოლას ვერც კი წარმოიდგენდა. ამ დროს, პატარ ბიჭი სოფელ დგვარიდან, თავისი მიზნებითა და ოცნებებით, რომელმაც არც კი იცოდა, რა წარმატება ელოდა წინ, მხოლოდ 15 წლის იყო.

*– ამირან, „მე-13 ლეგიონში“ გადასვლის შემდეგ, როგორ წარიმართა თქვენი სპორტული ცხოვრება?*

– მახსოვს, 2014 წლის აგვისტო იყო, როდესაც დავიწყე ვარჯიში „მე-13 ლეგიონში“, ნოემბერში კი მწრთვნელმა პირველ შეჯიბრზე გამიყვანა. შეჯიბრი შერეულ ორთაბრძოლებში ახალციხის ციხის ტერიტორიაზე გაიმართა. მაშინ პატარა ვიყავი, მაგრამ მწრთვნელმა მაინც მომცა შანსი, ჩემი შესაძლებლობები გამომეცადა. პირველი მეტოქე აზერბაიჯანიდან იყო. ამ ბრძოლაში გავიმარჯვე. აქედან დავიწყე ზრუნვა პროფესიონალურ დონეზე განვითარებისთვის. აქტიურად გავაგრძელე ვარჯიში. ვიღებდი მონაწილეობას საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქებში გამართულ ორთაბრძოლებში. ყველა მათგანი გამარჯვებით დავასრულე. როდესაც 18 წლის გავხდი, „მე-13 ლეგიონის“ მენეჯერმა, გიორგი კაბულაშვილმა, რომელსაც თბილისში გახსნილი აქვს შერეული ორთაბრძოლებისთვის მოსამზადებელი დარბაზი და უწევს ორგანიზებას მსოფლიოს მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებს, ჩემს მწრთვნელს უთხრა, რომ ჩინეთში, 2017 წლის 6 იანვარს დაგეგმილ ბრძოლაში მიმაღებინებდა მონაწილეობას. ეს იყო WLF-ის ორგანიზაციის მსოფლიო ჩემპიონატი. ეს იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

*– რა შედეგით დაბრუნდით ჩინეთიდან სამშობლოში? როგორი განცდა იყო პირველად პროფესიონალურ რინგზე დგომა?*




– ბრძოლამდე 10 დღე იყო დარჩენილი და ვარჯიშის დროს ხელი მოვიტეხე. ყველა დადუმდა, იმ დღეს უხმოდ დავტოვეთ დარბაზი. მეორე დღეს, დილით, მეგონა ვარჯიშს შევძლებდი, მაგრამ ხელი ძალიან მტკიოდა. იძულებული გავხდი ხელი თაბაშირში ჩამესვა. ხუთი დღე ასე ვვარჯიშობდი. ჩინეთამდე ოთხი დღე უნდა გვეფრინა. ხელის შეხსნაც ადრე მომიწია, რადგან იქ თაბაშირიანი ხელით არავინ გამიყვანდა რინგზე. 77 კილოგრამ წონით კატეგორიაში უნდა მეჩხუბა. საქართველოდან 83 კილოგრამი წავედი, მაგრამ გზაში თითქმის სულ ვიშიმშილე. ბრძოლის წინა დღეს, ჩავაბარე წონა. მეორე დღეს, პირველად შევდგი ფეხი პროფესიონალურ რინგზე. სპეციალურმა განათებებმა, ამდენმა ხალხმა, რა თქმა უნდა, ძალიან იმოქმედა ჩემზე. ჯანსაღ ხელზე დამახვიეს ბინტები, გამიკეთეს ხელთათმანი,მაგრამ, მოტეხილ ხელზე ხელთათმანი დიდი წვალებით მოვირგე. ჩინელ მოწინააღმდეგეს ვხვდებოდი. დაიწყო ბრძოლა. ერთხელ შევერკინეთ ერთმანეთს. მსაჯმა დაგვაშორა. შემდეგ მოვიქნიე ხელი, ქვევიდან განვახორციელე დარტყმა სახის მიდამოში და მოწინააღმდეგე გაითიშა. ეს იყო შოკი. ალბათ ასი წრე გავაკეთე რინგზე სიხარულით. წარმოუდგენელი იყოგამარჯვება მოტეხილი ხელით. დავურეკეთ მენეჯერს და, რა თქმა უნდა, ძალიან გაუხარდა ჩემი წარმატება.

*– ახსენეთ ბრძოლის დაწყებამდე წონის ჩაბარების საკითხი. თქვენ რომელ წონით კატეგორიაში გიწევთ ბრძოლა?*

– დიახ, ბრძოლები დაყოფილია სხვადასხვა წონით კატეგორიებად. 57კილოგრამ წონითი კატეგორიიდან იწყება და 93 კილოგრამამდე ადის. მე თავს კომფორტულად 77 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვგრძნობ. ამიტომ, კონტრაქტიც ამ წონით კატეგორიაზე მაქვს დადებული. თუნდაც 100 კილომდე ავიდე, ბრძოლისთვის ვიცავ სპეციალურ დიეტას, რომ ჩემს წონაზე დავდგე.

*– ბუნებრივია, გამარჯვებებს თან ახლავს დამარცხება. მსოფლიო რეიტინგში მხოლოდ ერთი წაგება ფიქსირდება თქვენი. ეს არ არის ცუდი შედეგი. შენს ბრძოლებს გადავავლე თვალი და ვფიქრობ, ეს წაგება უსამართლო იყო.*

– ეს წაგება ყირგიზეთში დაფიქსირდა. ჩინეთის მსოფლიო ჩემპიონატიდან ჩამოსული ისეთი გახარებული ვიყავი, რომ ხელი სულ დამავიწყდა. იანვრის თვეში ჩამოვედი ჩინეთიდან და 26 მარტს დაიგეგმა ბრძოლა ყირგიზეთში, ყირგიზ მეტოქესთან. 18 წლის ვიყავი, მეტოქე 27 წლის, თან ძალიან გამოცდილი. ბრძოლაზე მაინც დავთანხმდი. პირველი რაუნდი თანაბარი ანგარიშით დასრულდა. მეორე რაუნდში მე გავიმარჯვე. როდესაც მეორე რაუნდის ძირითადი დრო დამთავრდა, მეტოქე კიდევ მირტყავდა, მეც დავუბრუნე დარტყმა. მან კიდევ დამარტყა და წარბი გამიხეთქა, რისთვისაც ყვითელი ბარათი მიიღო. მესამე რაუნდი ჩემმა მოწინააღმდეგემ მოიგო. რადგან ყირგიზეთში ვიყავით და ყირგიზ მეტოქეს ვხვდებოდი, სრულიად უსამართლოდ, მსაჯებმა მას მიანიჭეს გამარჯვება. აზრი არ ჰქონდა არაფრის თქმას. მას ყვითელი ბარათი ჰქონდა და ყველა წესით მე მეკუთვნოდა გამარჯვება. გვითხრეს, რომ მსოფლიო რეიტინგში ეს წაგება არ აისახებაო. გამოგვაცილეს, ჩაგვსვეს თვითმფრინავში და გზაში ვნახეთ, რომ წაგება მსოფლიო რეიტინგში აისახა. მოგვატყუეს. ეს ნამდვილად რთული იყო ჩემი სამომავლო კარიერისთვისაც და ფსიქოლოგიურადაც. მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ არა ეს ამბავი, ასეთი წარმატება, ალბათ, არ მექნებოდა. უფრო მეტი შემართებით დავიწყე ვარჯიში. თან შერეული ორთაბრძოლებისთვის სპეციალურ მომზადებას შევუდექი. მოვირჩინე მოტეხილი ხელი.

*– ამჟამად ხართ შერეულ ორთაბრძოლებში სერიოზული რეიტინგის მქონე ორგანიზაციის M1GLOBAL-ის მებრძოლი. როგორ მოხვდით M1GLOBAL-ში? ამ ორგანიზაციაში, ბრძოლის მცირე დროში, მოგების თვალსაზრისით, დაამყარეთ რეკორდი. მოგვიყევით, ახლა რა ეტაპზე ხართ?*

– ყირგიზეთის შემდეგ, 2017 წლის, 21 ივლისს, დაიგეგმა ჩხუბი ინგუშეთში, M1GLOBAL-ის ორგანიზაციის ეგიდით. ამ ორგანიზაციაში მოხვედრასა და ბრძოლაზე ვოცნებობდი და ძალიან გამიხარდა, როდესაც გავიგე, რომ მენეჯერმა მე ჩამსვა. ინგუშ მოწინააღმდეგეს ვხვდებოდი. პირველივე რაუნდის 53 წამზე მოვიპოვე გამარჯვება. გამოვიყენე მახრჩობელა ილეთი, რომელიც ფეხებით სრულდება. მოლაპარაკება იყო ასეთი, რომ თუ გავიმარჯვებდი, M1GLOBAL-ი დამიდებდა კონტრაქტს. გამარჯვების მიუხედავად, გვითხრეს, რომ კონტრაქტისთვის ერთი ბრძოლა კიდევ უნდა მომეგო. დაიგეგმა შემდეგი ბრძოლა 2018 წლის 9 თებერვალს, სანკტ-პეტერბურგში. რუსეთისსახელით მოასპარეზე მებრძოლს შევხვდი. გამარჯვება მახრჩობელა ილეთით მოვიპოვე. შეთანხმებისამებრ, დამიდეს კონტრაქტი. ამის შემდეგ კიდევ ჩავატარე ბრძოლები. შევერკინე რუსეთის სახელით მოასპარეზე ოს მეტოქეს. ბრძოლა სამი რაუნდის განმავლობაში მიმდინარეობდა. ეს ბრძოლა ჩემი გამარჯვებით დასრულდა. მოხდა ისე, რომ მე ჩეჩენ მებრძოლთან უნდა მეასპარეზა, მაგრამ მან ბრძოლის წინა დღეს წონა ვერ ჩააბარა. ამიტომ, შემიცვალეს მეტოქე. ეს რთული იყო, რადგან ყოველთვის ვემზადები კონკრეტული მოწინააღმდეგისთვის. ვუყურებ მის ჩხუბებს, ვცდილობ, რომ ბრძოლის დროს მის სტილს არ ავყვე. ამ მოწინააღმდეგესთან უკეთესი შედეგის დადება შემეძლო. ამ ორგანიზაციის სახელით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ფინელ მეტოქესთან ბრძოლა. მას 20 ბრძოლა ჰქონდა ჩატარებული და მხოლოდ 5 წაგება უფიქსირდებოდა. ბრძოლა 10 წამის განმავლობაში გაგრძელდა. ეს ბრძოლა ნოკაუტით მოვიგე. ამ ორგანიზაციაში 13 წამი იყო რეკორდი ყველაზე მცირე დროში მოგებულ ბრძოლასთან დაკავშირებით. ასევე გამომივიდა გამარჯვებების სერია, ზედიზედ 4 გამარჯვება. M1GLOBAL-ის რეიტინგში, 77 კილოგრამ წონით კატეგორიაში, სამ მებრძოლს ჰქონდა მხოლოდ ზედიზედ 4 გამარჯვება. ახლა არის გზა ქამრისკენ მიმავალი.

*– ვიცით, რომ M1GLOBAL-ის მებრძოლი, რომელიც 77 კილოგრამ წონით კატეგორიაში ფლობდა ქამარს, ამერიკაში წავიდა. ქამარი თქვენ წონით კატეგორიაში თავისუფალია. როგორი დამოკიდებულებაა ორგანიზაციის ხელმძღანელი პირების მხრიდან ქართველ მებრძოლებთან დაკავშირებით? თუ არის იმისი წინაპირობა, რომ თქვენ მიიღოთ მონაწილეობა ქამრისათვის ჩანიშნულ ბრძოლებში?*

– ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, ქამრისთვის ბრძოლაში არ ჩამსვეს. ეს შანსი რუს და ყაზახ მებრძოლებს მისცეს. ახლა ვარ ასეთ ეტაპზე – ვიმუშებ ვარჯიშის დროს მიღებულ ტრავმებზე და მოტეხილ ფეხს. ქამრის მოსაპოვებელი ბრძოლისთვის ერთ ბრძოლას აუცილებლად დამინიშნავენ. ვისაც უნდა შევებრძოლო, მათთან გამარჯვე-



ბის შანსი მაქვს. ეს ბრძოლა, სავარაუდოდ, 30 აგვისტოს გაიმართება. საქართველოში M1GLOBAL-ის სახელით ქამარი ჰქონდა მხოლოდ გურამ გურგენიშვილს, რომელიც 27 წლის ასაკში ავტოავარიაში გარდაიცვალა. არის სხვა ორგანიზაციებიდან შემოთავაზებები, რომ გადავიდე, მაგრამ ჩემი მიზნები სხვა მიმართულებით მიდის და ამ შემოთავაზებებზე უარს ვამბობ.

*– რა თქმა უნდა, თქვენ ერთ ადგილას არ ჩერდებით და იბრძოლებთ უფრო რეიტინგულ ორგანიზაციაში მოსახვედრად. გვესაუბრეთ თქვენი მიზნების შესახებ.*

– მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ორგანიზაციაა UFC-ი, რომელთანაც M1GLOBAL-ს აქვს ხელშეკრულება გაფორმებული. ამიტომ, M1GLOBAL-დან UFC-ში მოხვედრის შანსი მეტია. UFC-ში რამდენიმე ქართველი ასპარეზობს, ისინიც სხვა ქვეყნებიდან გადავიდნენ. საქართველოს სახელით ძალიან რთულია იქ მოხვედრა. არის ერთი მებრძოლი საქართველოდან, 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში, რაულ თუთარაული, რომელთანაც UFC-დან კონტრაქტზე მიდის მოლაპარაკება. იქნებ ამის შემდეგ გაგვეხსნას გზა ქართველ მებრძოლებს, რომ საქართველოს სახელით მოვხვდეთ ამ ორგანიზაციაში.

*– ალბათ, დიდია მშობლების განცდა ყოველი ბრძოლის დროს. მოგვიყევით ოჯახის შესახებ.*

– რა თქმა უნდა, ოჯახის თანადგომა მნიშვნელოვანია ჩემი კარიერის ნებისმიერ ეტაპზე. მყავს ორი ოჯახი. ჩემი ოჯახი ცხოვრობს დგვარში. მე ვარჯიშის გამო, ვცხოვრობ მამიდასთან ახალციხეში. დედა და მამა – თამაზ გოგოლაძე და ნინო მაღრაძე, მამიდა და ბიძა – ჯაბა ღონღაძე და ლია გოგოლაძე, ჩემი ძმა ლაშა, მამიდაშვილები და ყველა ახლო ნათესავი, მეგობრები, ძმაკაცები, ყოველთვის გვერდში მიდგანან. მამა და ძმა ჩემს ყოველ ბრძოლას უყურებენ. სახლში სპეციალურად გვაქვს ჩართული ის არხები, რომლითაც ეს ბრძოლები გადაიცემა. დედა არასოდეს უყურებს ჩემს ჩხუბებს. ბოლო ბრძოლის დროს, ყველა მეზობელი მისულა ჩემთან სახლში საგულშემატკივროდ. ბრძოლა რომ დაწყებულა, დედა გარეთ გასულა. მეზობელი 10 წამში გაჰყოლია, გილოცავთ შვილის გამარჯვებას შემოდი სახლში, რეკორდულად მცირე დროში მოიგო ამირანმა ბრძოლაო.

*– ალბათ, რთულია ვარჯიშის გრაფიკი, ასევე, ჩხუბის შემდეგ მიღებული ტრავმების მორჩენა.*

– როდესაც ჩხუბი არ მაქვს, კვირის გარდა, ყოველდღე ვვარჯიშობ, გულს არ ვღლი. როდესაც ჩხუბი დაინიშნება, თვენახევრის განმავლობაში, დღეში ორჯერ ვვარჯიშობ. ჩემთვის ყველაზე რთული მომზადების პროცესი და წონის კლებაა. 77 კილოზე უნდა ვიყო. ამ დროს ტრავმები ხშირია. ძვლები სუსტდება, მარტივად ვცივდები. საბედნიეროდ, რინგზე ტრავმა არ მიმიღია. ჩხუბის წინა მომზადების პერიოდში ყველაზე მეტად ვშავდები, მაგრამ ეს კარგად მაქვს დაცდილი.

*– ხართ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, რაც უნივერსიტეტს ძალიან ეამაყება. როგორ უთავსებთ სწავლას და სპორტს ერთმანეთს?*

– სამწუხაროდ, სწავლისთვის დრო ნაკლები მრჩება. ვახერხებ იმას, რომ გამოცდები ჩავაბარო და ჩემი სფეროს მიმართულებით, გარკვეული ცოდნა შევიძინო. ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზის მეორე კურსზე ვარ. მინდა მადლობა ვუთხრა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რადგან გვერდში მიდგანან და ყველანაირად მიწყობენ ხელს წარმატებისკენ მიმავალ გზაზე.

*– როგორია თქვენი თავისუფალი დრო? რა ხდება თქვენს პირად ცხოვრებაში?*

– თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ვატარებ. მაქვს ბევრი ჰობი. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, მყავს რჩეული, მაქვს მიზნები და სურვილები.

*– წარმატებებს გისურვებთ და თქვენი ყველა მიზნის ასრულებას. ვიმედოვნებთ, რომ შემდეგ ინტერვიუს ჩავწერთ თქვენთან უკვე როგორც ქამრის მფლობელ მებრძოლთან.*

– გმადლობთ.

*ინტერვიუერი*
*ლიკა ზაზაშვილი*

# სტუდენტური საპარლამენტო დებატები – „ახალგაზრდობა ევროპისთვის"

**თბილისში,** ევროპის დღეების ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით, საქართველოს საგანმანათლებლო დებატების ასოციაციის (ssda/EDAG) ორგანიზებითა და ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით,11-12 მაისს, ჩატარდა სტუდენტური საპარლამენტო დებატები – **„ახალგაზრდობა ევროპისთვის",** რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ცხრა სახელმწიფო უნივერსიტეტის 50-მა სტუდენტმა, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 5 სტუდენტმა, კერძოდ: **მადონა ხანოიანცმა, დონარი ლონდარიძემ, უჩა აფრიამაშვილმა, მარიამ დავლაშერიძემ.** მათ შორის ერთ-ერთი ვიყავი მე.

აღსანიშნავია, რომ ტურნირს წინ უძღოდა 12-14 აპრილს კაჭრეთში ჩატარებული ტრენინგები, რომელზეც პროექტის მონაწილეებმა ისწავლეს ფორმალური დებატები, დაეუფლნენ დებატების ტექნიკას, კერძოდ, შეისწავლეს ბრიტანული-საპარლამენტო დებატების თავისებურებები და, ამასთანავე, შეძლეს შეძენილი უნარ-ჩვევების გამოყენების ტაქტიკის სწავლა პრაქტიკული სავარჯიშოებით.

ტრენინგის პერიოდში, ევრო-ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით მონაწილეებს შეხვდნენ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრი **გიორგი მოსიძე** და საგარეო პოლიტიკის ექსპერტი **კახა გოგოლაშვილი.** შეხვედრების დასრულების შემდეგ კი გაიმართა დისკუსია, რომლის მეშვეობითაც პროექტის მონაწილეებს მიეცათ საშუალება, დაესვათ კითხვები, გამოეთქვათ საკუთარი პოზიცია ამ საინფორმაციო შეხვედრების ძირითად თემატიკასა და იმ გამოწვევებთან დაკავშირებით, რომლის წინაშეც დგას ჩვენი ქვეყანა და რომელიც, დღესდღეობით, ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხთა რიგს მიეკუთნება.

ტრენინგი ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ტრენინგზე მიღებული უნარებისა და ცოდნის სრულად რეალიზების საშუალება მონაწილეებს მიეცათ, უშუალოდ, ბრიტანული-საპარლამენტო დებატების ტურნირზე, რომელიც გამოირჩეოდა სადებატო რეზოლუციათა მრავალფეროვნებით. თითოეულმა მონაწილემ საკმაოდ კარგად გაართვა თავი დებატებს.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროექტის მიზანი – ახალგაზრდებისათვის აემაღლებინა ცნობიერება ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხებზე და განევითარებინა მათში დებატების უნარ-ჩვევები, მიღწეულ იქნა.

მონაწილეები სერთიფიკატებითა და სიმბოლური საჩუქრებით დააჯილდოვა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ **თამარ ხულორდავამ.**

***მარიამ სუდაძე***
***სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი***




# მაინც შენი მონატრება სხვა ფერია...

**წელს** ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე დავასრულე სწავლა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი დამთავრდა ჩემს ცხოვრებაში. ხშირად მიფიქრია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებულ წლებზე, ჩემს ლექტორებზე, ჯგუფელებზე, იმაზე, თუ რას ნიშნავს ჩემთვის ეს ადგილი, რა მომცა მან. თუმცა, ისეც ყოველთვის ვიცოდი და ვგრძნობდი, რომ ეს ის არის, რაც ჩემია და მეამაყება – ეს ჩემი უნივერსიტეტია, რომლის მიმართაც, რაც დრო გადის, უფრო და უფრო თბილი გრძნობები იჩენს თავს. ვაცნობიერებ რა მის ღვაწლს ჩემს ცხოვრებაში, ძალიან მიძნელდება განშორება.

როდესაც კურსდამთავრებულთა გაცილების ცერემონიალის დასრულების შემდეგ ჯგუფელებსა და ლექტორებს დავემშვიდობე, ჩვენი უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციაში მოსაკითხად შევიარე. ქალბატონი მარინე ზედელაშვილი დამხვდა, ჩვეული დიდი სიყვარულით გამომელაპარაკა, სწავლის დამთავრება მომილოცა და მკითხა: „ ლელა, საყვარელო, ხომ არაფერი გაქვს სათქმელი, საგაზეთოდ სატატია რომ მოგვიმზადო შენს საუნივერსიტეტო წლებზე?"ცხადია, დავთანხმდი. ადრე გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტში" გერმანულენოვანი ტექსტების ჩემი ქართული თარგმანები იბეჭდებოდა. ქალბატონი მარინე ყოველთვის მაქებდა, შესანიშნავად თარგმნიო. ახლა არ ვიცი, საიდან დავიწყო წერა, როგორ გადმოვცე, რაც მაქვს სათქმელი ჩემს უნივერსიტეტზე.

რედაქციიდან წამოსულს საქალაქო ტრანსპორტის მოსვლისთვის ლოდინი მომიწია. ძალიან ცხელოდა და ფეხით აღარ ვისურვე წასვლა. იქვე, უნივერსიტეტის ეზოში დავჯექი. მზიანი და სასიამვნო დღე იყო, შინაარსობრივადაც დატვირთული და ორმაგად მელამაზა. ვიჯექი და ვუყურებდი ჩემს უნივერსიტეტს. მაინც, რამდენი რამ მაკავშირებს ამ ადგილთან, რამდენი სიხარული, წარმატება, სასიამოვნო მოგონება, საგამოცდო ციებ-ცხელება... ბევრი გრძნობა იყო არეული ერთმანეთში. ყველა, მაინც, სწავლის დასრულებას უკავშირდებოდა. ვფიქრობდი, ყველაფერი მორჩა, გამოცდები, აქაური საქმეები, ამის მერე უკვე მაგისტრატურის კურსდამთავრებული მეთქმის, ეს ბოლო დღეა – ამ გრძნობითა და მაგისტრის სტატუსით. უნებურად ჩემი საყვარელი გერმანელი მწერლის, გოეთეს პერ-



სონაჟის ფაუსტის სიტყვები გამახსენდა – „შეჩერდი, წამო, რა მშვენიერი ხარ!"

იმ წუთას, ტრანსპორტის მომლოდინეს, ალბათ, მისი დანახვაც აღარ გამიხარდებოდა. ვიჯექი და ვუყურებდი მანტიებში გამოწყობილ კურსდამთავრებულებს. ბაკალავრები იყვნენ, ფოტოებს იღებდნენ, მხიარულობდნენ. ცდილობდნენ, ცხოვრების ეს მნიშვნელოვანი ეტაპი დასამახსოვრებელ მოგონებად ექციათ. ჩვენ – მე და ჩემს მაგისტრატურის ჯგუფელებს (ორი საუკეთესო მეგობარი შევიძინე – ნინო ქიმერიძე და მარეხ მარგველაშვილი, რომლებმაც გამილამაზეს და გამიადვილეს სწავლის ბოლო ორი წელი) მანტიები ბაკალავრიატის დასრულებისას არ მოგვირგია, არ იყო მაშინ ასე (2012 წელს). ახლა გვეცვა, მაგრამ ისე არ ვიყავით მხიარულები, როგორც წარმოგვედგინა. ყველას გულში ის განცდა გვქონდა, რაც „ბედნიერის" დასრულებისას იჩენს ხოლმე თავს... ვუყურებდი გახარებულ ადამიანებს, რამაც ჩემი სტუდენტობის წლები გამახსენა, ტკბილ მოგონებებად რომ გამყვება.

სკოლა 2008 წელს დავამთავრე, ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეში. წარჩინებული მოსწავლე ვიყავი, შრომისმოყვარე; ჰუმანიტარული საგნები მიყვარდა, მსიამოვნებდა ქართული ენა-ლიტერატურის, ისტორიისა და ენების სწავლა. პროფესიადაც ამიტომ ავირჩიე ფილოლოგობა. სასწავლებლის შერჩევისას კი სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის გარდა სხვაზე არც მიფიქრია და არც არასდროს მინანია ეს არჩევანი. მე მის კედლებში იმხელა პიროვნული და პროფესიული საზრდო მივიღე, ყოველთვის მადლობელი ვიქნები ჩემი მშობლიური უნივერსიტეტის.

ბაკალავრიატის წლები – ეს იყო ყველაზე საუკეთესო პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. შეუძლებელია, განსაკუთრებულად არ გეჩვენოს ის დრო, როდესაც დაბნეული პირველიკურსელიდან, თანდათან, თავდაჯერებულ და ჩამოყალიბებულ პიროვნებად ფორმირდები, ყველაფერი უცხო კარგად ნაცნობი რომ ხდება, სრულიად უცნობი ადამიანები ამხანაგმეგობარებად რომ იქცევიან. უნივერსიტეტი – ადგილი, სადაც ცდილობ, შეიძინო ის ცოდნა და უნარები, რომელიც იქიდან გასულს აუცილებლად გამოგადგება ცხოვრების დიდ ასპარეზზე.

მაშინ არ ვმუშაობდი და სათანადო ყურადღებასაც ვუთმობდი სწავლას. აქტიური, მოტივირებული სტუდენტი ვიყავი. არასდროს დამზარებია მეცადინეობა, კონფერენციისთვის მოხსენების გაკეთება. განსაკუთრებით გერმანულენოვანი ტექსტების თარგმნა მხიბლავდა. ჩემი თარგმანები ჩვენი უნივერსიტეტის გაზეთში იბეჭდებოდა, მსიამოვნებდა ეს საქმიანობა. მახსოვს, როგორ მოუთმენლად ველოდი გაზეთის ნომრის გამოსვლას. ხარისხიანი სწავლების გარდა, იმხელა სითბოს ვგრძნობდი ლექტორებისგან, ისეთ ურთიერთპატივისცემას ვხედავდი... კარგი შეგრძნებაა, ბევრი რომ გიცნობს და გაფასებს, როგორც კარგ სტუდენტს – ლელა თელიაშვილს. მეტი რაღა უნდა გდომებოდა შესაძლებლობების რეალიზაციისა და წარმატებების მისაღწევად ადამიანს.

ბაკალავრიატის წლების კიდევ ერთი გამართლება ცნობილ მთარგმნელ ქალბატონ ნანა გოგოლაშვილთან ურთიერთობა იყო. ხშირად მითქვამს, რომ ის სიკეთე და ბედნიერება, რაც ქალბატონ ნანასთან ურთიერთობამ მომიტანა, დიდხანს გამყვება ცხოვრებაში. დღესაც სხვანაირი გრძნობა მივლის ტანში, როდესაც დაცვის შემდეგ ქალბატონი ნანას სიტყვები მახსენდება, მე და ჩემს დას რომ გვითხრა: „აბა, თქვენ იცით, გოგოებო, წარმატებები... არ დამივიწყოთ, შემეხმიანეთ". მაშინ ისე დავიბენი, სათანადო მადლობის გადახდაც კი ვერ შევძელი. მივხვდი, უბრალოდ დიდი სიყვარული ვიგრძენი მისდამი და იმ ყველაფრის მიმართ, რასაც უნივერსიტეტში ვტოვებდი, მიჭირდა განშორება, ვერ წარმომედგინა ცხოვრება უნივერსიტეტის გარეშე.

მერე იყო სამსახურის დაწყება პედაგოგად, პროფესიული განვითარებისთვის განვლილი უამრავი ტრენინგ-პროგრამა, კონფერენციასემინარი, მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდების ჩაბარება. ექვსწლიანი პედაგოგიური გამოცდილების შედეგად ვაცნობიერებ, რომ მასწავლებლობა ჩემი მოწოდებაა, საქმე, რომელსაც თავს ვერ დავანებებ. როდესაც ფინანსურადაც დამოუკიდებლად ვიგრძენი თავი და პროფესიაშიც ავიდგი ფეხი, მეხუთე წელს გადავწყვიტე და ჩავაბარე მაგისტრატურაში. სწავლის გაგრძელება არა მარტო ხარისხის ამაღლების სურვილით, არამედ იმ განცდითაც იყო განპირობებული, რომელიც იქ დასაბრუნებლად მიხმობდა, სადაც ცხოვრების ოთხი მნიშვნელოვანი წელი გავატარე. გამოგიტყდებით, ძნელი ყოფილა სწავლა და მუშაობა ერთად. სტუდენტ-მასწავლებლობა, გამოქცევა სკოლიდან, რომ ლექცია გაქვს, გვიანობამდე მეცადინეობა, როდესაც ვერ ასწრებ ორივე საქმეს ერთად, მაგრამ იმის გაცნობიერება, რომ შენ ძალიან მნიშვნელოვან გზას ადგახარ, დიდი პასუხისმგებლობა გაკისრია, რამხელა საჭიროება აქვს ამ პერიოდიდან მიღებულ ცოდნა-უნარებს ცხოვრებაში... არ გაქვს უფლება, უკან დაიხიო, მით უფრო, როდესაც ისეთი დიდი ადამიანები გიდგანან მხარში, როგორიც, მაგალითად, ბატონი მერაბ ბერიძეა. საბედნიეროდ, ერთობლივი ძალისხმევით გამოცდებმა, კონფერენციებმა, სამაგისტრო ნაშრომების დაცვამ, ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა...

უნივერსიტეტში ყოფნის იმ ბოლო დღეს, როდესაც საქალაქო ტრანსპორტი მოვიდა, ზანტად ავედი და დავჯექი, მაგრამ სადგურამდე იმ უხილავ ძაფზე ვფიქრობდი, ჩემსა და უნივერსიტეტს შორის რომაა გაბმული და რომელიც არ მინდა გაწყდეს. ვგრძნობ, უნივერსიტეტის ნოსტალგია სწავლის გაგრძელების სურვილს არ გამინელებს. მინდა, მის კედლებში ახალი სტატუსით შევაბიჯო. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სულ სხვანაირად ვცოცხლდები. ამიტომ მსურს, ყოველთვის მიმეჩქარებოდეს მისკენ...

***ლელა თელიაშვილი***
***განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული***

# სტუდენტობის წლები საუკეთესოა!

**როდესაც** სკოლას ამთავრებ, ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, მაგრამ უკვე დიდი მიზნებით და ოცნებებით. სექტემბერს ისევ დიდი ღელვით ელოდები, მაგრამ სკოლაში – აღარ, ახლა უკვე უნივერსიტეტში მიდიხარ. პირველი დღე რთულია, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ჩემსავით უჭირს ადამიანებთან ურთიერთობა. ბევრი უცნობი ადამიანი, უცხო გარემო... უცნაური ღელვით ვიყავი შეპყრობილი, ვგრძნობდი, რომ რაღაც ახალი და მნიშვნელოვანი იწყებოდა ჩემს ცხოვრებაში. თუმცა, მამშვიდებდა ფიქრი, რომ მშობლიური ქალაქის უნივერსიტეტში ვიყავი, რომელიც ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვანი კუთხის შვილებს გაშლილი ხელებით ეგებება და გზას უხსნის მომავლისკენ, ახალ ჰორიზონტებს უხსნის და ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. დიდი ინტერესით ვაკვირდებოდი უნივერსიტეტის კედლებს, აუდიტორიებს, ლექტორებს, ბავშვებს.

მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა, უამრავი მოგონებით, ემოციით, წარმატებით, სირთულეებით, ახალი ნაცნობებით, ახალი მეგობრებით სავსე ოთხი წელი. უკან რომ ვიხედები და ვიხსენებ უნივერსიტეტის პირველ დღეს, მასთან შეხვედრის პირველ განცდებს, უკეთესად ვხვდები, რა მომცა ამ ოთხი წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

პირველივე ლექციიდან მივხვდი – არასდროს უნდა შეგეშინდეს შენი აზრის გამოხატვის, მივხვდი, რომ იმ სპეციალობაზე სწავლა, რასაც ისტორია ჰქვია, გაცილებით ღრმა და საინტერესო იყო, ვიდრე ველოდი და ვფიქრობდი. როდესაც ისტორიას სწავლობ, შენი ქვეყნის ისტორიას, უკეთ ხვდები, რა როლი გაქვს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მის მომავალში.

ზოგჯერ რეალობა ჩვენს მოლოდინს ამსხვრევს და სულ სხვა სახით წარმოგვიდგება. ამ მხრივ მე გამიმართლა. მასწავლიდნენ ისეთი ლექტორები, ვისგან გადმოცემული ცოდნა ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანია; და განა მარტო ცოდნა?! ისინი, ადამიანობის საუკეთესო მაგალითნი, გვასწავლიდნენ, როგორ უნდა გავიზარდოთ, როგორ ავიღოთ პასუხისმგელობა საკუთარ თავზე, გვასწავლიდნენ, როგორ შეიძლება არ გამოგივიდეს ის, რაც ძალიან გინდა, მაგრამ არ შეეგუო მარცხს და კვლავ განაგრძო ბრძოლა.

ადამიანური ურთიერთობები ბევრის მომცემია. გამიმართლა, რომ ჩემი კურსელები აღმოჩნდნენ ისეთნი, ვისგანაც ბევრი რამ ვისწავლე. მათი სახით შევიძინე ახალი მეგობრები. უნივერსიტეტში ვისწავლე საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს ლექტორებს. შევიძინე უნარი, როგორ გავხდე უკეთესი და წინ წავიდე, წინ – ჩემი მიზნებისკენ და ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ ავიხდინო ოცნებები. ჩემს მიზნებს კი აერთიანებს ორი სპეციალობა – ისტორია და თურქული ენა, რომელსაც არაჩვეულებრივი ლექტორები მასწავლიდნენ სამი წლის განმავლობაში. საოცრად საინტერესოა სხვა ქვეყნის ენის, ისტორიის, კულტურის შესწავლა.

ის ოთხი წელი, როდესაც სტუდენტი ხარ, საუკეთესო დროა, მიხვდე, რისი კეთება გინდა მომავალში, პიროვნულად გაიზარდო, გაიცნო ადამიანები, შეიძინო მეგობრები, აქტიურად ჩაება საუნივერსიტეტო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისწავლო დამარცხებისა და გამარჯვების ფასი. მიიღო ცოდნა – ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა, რაც შეგიძლია გააკეთო საკუთარი თავისთვის. ამ ყველაფრის მოცემა შეუძლია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, პატარა საქართველოს პატარა კუთხის უნივერსიტეტს, სადაც დაგხვდებიან თავისი საქმის პროფესიონალი ლექტორები.

რას ვისურვებდი ჩვენი უნივერსიტეტისთვის? ვისურვებდი, რომ უფრო მეტი სტუდენტი ჩაებას აქტიურად საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, რადგან თითოეული სტუდენტის წვლილი მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის განვითარებისთვის.

სტუდენტობის წლები საუკეთესოა! – გეუბნებიან ადამიანები, რომლებიც ერთ დროს თვითონაც სტუდენტები იყვნენ. ამას ყველაზე კარგად მაშინ ხვდები, როდესაც გამოცდებს დაასრულებ, მანტიით მიხვალ უნივერსიტეტში და მიხვდები, რომ უკვე გავიდა ოთხი წელი... ამ დღეს ბევრი ემოცია ახლდა... გიხარია, რომ უნივერსიტეტი დაამთავრე და ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება შენს ცხოვრებაში, თანაც, სევდიანი ხარ, რომ დასრულდა სტუდენტობის ხანა, ხვდები, რომ შრომა ნაყოფიერი აღმოჩნდა, ცოდნა მიიღე და ახლა უკვე დროა, ახალი მიზნებისკენ გაემართო ისეთივე შემართებით, პირველ კურსზე რომ მიხვედი უნივერსიტეტში.

***დიანა ვედიაკოვი***
***განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის სპეციალობის კურსდამთავრებული***



# წარსულის ნაკვალევზე...



**თითქოს** არამიწიერი სანახაობებისთვის მივქროდით; თითქოს ცისკენ, ღრუბლებისკენ მივისწრაფვოდით... ზღვის დონიდან 2500 მეტრზე რომ ავედით დაკლაკნილი გზებით, ყველაზე მაღალ წერტილში, ნისლმა გააპო ცა და დედამიწა... ერუშეთის ჲილები. იქვე ხეობა, სადაც აქა-იქ, მაგრამ თურმე მუდმივად, არის თოვლის საფარი, „შეურაცხყოფილი თოვლი“, ნაცრისფერშერეული, ჭუჭყიანი, მაგრამ მაინც თეთრი იმ ნაცრისფერ ხეობაში და მაინც ამაყად მოფენილი.

პირველი ემოცია – **ტბეთი**, გაძარცული, ჩამოშლილი, ჩამონგრეული, ერთ მთავარ კედელზე, მაგრამ თითქოს მაინც ამაყად მდგარი... წინა მხრიდან შესვლაც კი ვერ გავბედეთ, რამეთუ სწორედ იქ ივარაუდება, იმ შესასვლელში საკურთხეველი.

შემდეგ იყო პერიპეტიებით სავსე გზა. ციცაბო ბილიკებს ავუყევით, სადაც ეპოქები ტირიან... ჩვენც თითქმის ვიტირეთ სიმწრით... ძლივს ავიარეთ საცალფეხო გზები, ციცაბო, საშიში ბილიკები... სვენებსვენებით მივადექით რამდენიმესაფეხურიან ხის კიბეს ციცაბო კლდეზე. თითქოს, შეუძლებელი გახდა გზის გაგრძელება, მაგრამ ყველა ძალა მოვიკრიბეთ, რომ არტანუჯის ციხეზე ავსულიყავით.

**დოლის ყანაში,** თურმე, ტაძართან საპირფარეშოს გაკეთებას აპირებდნენ, ვერ დავმალეთ აღშფოთება. დროულად შეუჩერებიათ პროცესი.

გახეთქილმა კლდემ შემოგვანათა გზად **იშხანისკენ**. ტბეთის ფონზე იმდენად კარგად გამოიყურება, ცოტა ამოვისუნთქეთ. რესტავრირებული, უზარმაზარი იშხანი. როგორ წააგავს სვეტიცხოველს. „ხვლიკისფერი“ არაა, ევროპული მოყვითალომოთეთრო ფერი დაჰკრავს. მართალია შიგნით ვერ შევედით, დაკეტილი კარის გამო, მაგრამ არც გვინანია, რადგან არც ისე კარგი სანახავიაო შიგნით.

**კავკასიძეების ციხე** გადაურჩებაო კაშხალის მშენებლობას უახლოეს ხანში – კლდეზე შენადუღაბი ციხე დარჩება ეულად, კუნძულად.

ოთხი ანგელოზის სახელზე აშენებული სამონასტრო კომპლექსი **ოთხთა** საოცრებებს ახდენს, თურმე. ვერ ბედავენო თურქები შიგნით შესვლას, რადგან ამბობენ, რომ რამდენჯერაც რამის გაკეთება სცადეს, გაუწყრათ ოთხივე ანგელოზი. მწყემსი, ცხვრის ფარით შეფარებული, მოვარდნილმა ნიაღვარმა შთანთქა და ბევრი ასეთი რამ. ამიტომაა, ალბათ, ასეთი ჩამონგრეული, მიწით სავსე, დაბზარული. გული მომიკვდა. გამურულ სასანთლე კუთხეში ჩვენც დავანთეთ სანთელი, რაც **ხახულში** ვერც კი გავბედეთ, რადგან იქ მოქმედი მეჩეთი დაგვიხვდა. ჩვენი გიდის – გიორგის, მრავალგვარი მცდელობის შედეგად, კარი გავაღეთ, შიშველი ფეხითაც შევდექით ხალიჩებზე. მარჯვნივ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი გვიცქერის, ქვაში გამოკვეთილი, რომელიც თურმე ისეთ საოცრებებს ახდენს უშვილო ქალებისთვის, რომ მუსლიმებსაც სწამთ მისი ძალის, მიდიან და ავედრებენ უშვილო წყვილებს. საოცარი სანახავი იყო ტაძრის შუაგულში მოქცეული მეჩეთი, თავისი მიჰრაბით, დიდი ღუმელით და ყველა ატრიბუტით, რაც მათ ლოცვისთვის ესაჭიროებათ. დათვალიერებისას თვალი შევავლე ტაძრის კედლებს, ავუყევი რამდენიმემეტრიან წარსულზე მეტყველ კედლებს და უცბად, ჭერზე ჩემი ყურადღება მიიპყრო ამაყად გამოხატულმა, სიგრძე-სიგანეზე გადაჭიმულმა უზარმაზარმა მუქი ლურჯი ფერის ჯვარმა. შემომანათა! ერთდროულად ვიგრძენი სიამაყე, სინანული, გაოცება... ცრემლი მომადგა!

**ოშკში** შესვლა მხოლოდ ათი წუთით შევძელით, რადგან რესტავრაცია მიმდინარეობდა. ეს გამორჩეული საკათედრო ტაძარი იყო, რომლის ტერიტორიაზეც უძველეს ვაზს მოვეფერეთ, როგორც ისტორიაგამოვლილ და გადარჩენილ ჩვენს რელიკვიას.

**თორთუმკის ჩანჩქერი** თვალწარმტაცი აღმოჩნდა თავის მისასვლელი ბილიკებითა და ასასვლელ-ჩასასვლელი კიბეებით.

ვულკანური კლდეები და ვიწრო მიხვეულ-მოხვეული გზები მიგვაცილებენ **პარხალში**, სადაც ვიყავით დაბინავებულები. უზარმაზარი პარხლის ტაძარი, შერწყმული ორი რელიგია... მეჩეთის იმიტაცია და მუზეუმადქცეული ადგილი. კარი ჩვენმა მასპინძელმა ახმედმა გაგვიღო. რესტავრირებულია ტაძარი, შიგნით და გარეთ. არცერთი ფრესკა და წარსულის ნაკვალევი აღარ სჩანს, სამწუხაროდ.

გზად იესუფეველისკენ უკვე მეორედ გადაგვირბინა ნიამორმა. პატარა, სხარტი, ყელმოღერებული გვიცქერდა, კლდეზე აიჭრა ჯიხვივით და ფოტოკამერებით მომარჯვებულებს გვეპოზიორა კიდეც.

ვინ იცის, კიდევ თუ შევძლებ ამ ტერიტორიების ნახვას, რადგან უზარმაზარი კაშხალის მშენებლობა მიმდინარეობს და, როგორც ამბობენ, მთლად ჩაიძირება ათასობით ჰექტარი ტერიტორია, ქალაქი იესუფეველი, სადაც გურჯებსაც კი ვესაუბრეთ ქართულად, დაიცლება მისი მიმდებარე სოფლებიც.

გული დაგვითუთქა ჩამონგრეულმა და „გულგაბზარულმა“ **ბანამ**. გერგეთის სამებასავით მთაზე, შემაღლებულ ადგილას, უდაბნოსავით ხრიოკ ადგილზე განმარტოებით აღმართულა და გადაჰყურებს მოწყენილ მიდამოს.

ნანახი და განცდილი სხვებისთვისაც უნდა გაგვეზიარებინა. ისინი მოუთმენლად ელოდნენ პრეზენტაციას, რომელიც **თათია მეხრიშვილმა** მოამზადა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ რექტორი **მაკა ბერიძე,** რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში **მერაბ ბერიძე,** ტურის გიდი **გიორგი ბერიძე-ბერჯავახი,** ექსკურსიის მონაწილეები და უნივერსიტეტის თანამშრომლები.

გიორგი ბერიძემ მოკლე ანალიზი გაუკეთა ჩვენს მოგზაურობას. მან აღნიშნა, რომ treveler.ge-სა და სჯუნის ერთობლივი ძალისხმევით ძალიან მნიშვნელოვანი ტური შედგა და იმედოვნებს, რომ შემდგომშიც გაგრძელდება თანამშრომლობა. საზოგადოებას თავისი უჩვეულო იუმორით, ხალისითა და პატივისცემით საკუთარი ლექსი წაუკითხა, რომელიც ტაო-კლარჯეთში მოგზაურობისას დაწერა.

**ოტია ზედგინიძეს** ტრადიციად ექცა ტაოში მოგზაურობისას ქართულ დროშაზე დაწერილი მონაწილეთა შთაბეჭდილებების შეგროვება. მან პრეზენტაციაზე თავისივე კურსელის ფატი გორგაძის შთაბეჭდილებებით სავსე კომენტარი წაუკითხა დამსწრე საზოგადოებას. ასევე, წაიკითხა ექსპრომტად დაწერილი საკუთარი ლექსიც. ამონარიდი ლექსიდან:

„...ზარების რეკვა იქ აღარ
ისმის,
მხოლოდ სანთელი არ ქრება,
ელავს,
ცამდე აზიდულ ტაძრებში
კვლავაც
ზარების ნაცვლად დუმილი
რეკავს“.

პროფესორმა მერაბ ბერიძემ მოიწონა სტუდენტთა არჩევანი და სამომავლოდ დაისახა გეგმა, რომ ასეთი გასვლები გახდეს კიდევ უფრო მეტად შემეცნებითი ხასიათის. ასევე, ექსკურსიას წამახალისებელი ჯილდოს სახე მიეცეს წარჩინებული სტუდენტებისთვის.

მე კი, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელმა და ერთ-ერთმა მონაწილემ ამ საოცარი ექსკურსიისა, მადლობა შევწირე უფალს და ჩვენს სტუდენტებს, რომ საშუალება მომეცა, ამესრულებინა დიდი ხნის ოცნება. ეს იყო, მართლაც, უფლის საჩუქარი, რომელიც შეიძლებოდა მიმელო ამ დატვირთული სასწავლო წლის პროცესში. უფალმა შემმატა ძალა, რომ ჩემს საყვარელ და არაჩვეულებრივ სტუდენტებთან ერთად მომევლო მიუვალი ციხე-კლდეებიც კი.

შთამბეჭდავი და ემოციებით სავსე იყო ყოველი დღე, ყოველი დეტალი. უღრმესი მადლობა ჩვენი ექსკურსიის გიდს – გიორგი ბერიძე-ბერჯავახს, რომელსაც შესანიშნავ ტურთან ერთად, საუკეთესო მძღოლიც ჰყავდა შერჩეული – იმ საშიშ, ექსტრემალურ გზებზე უპრობლემოდ დაგვატარებდა. მადლობა ჩვენს უნივერსიტეტს, ჩვენს ფაკულტეტს, თითოეულ მონაწილე კოლეგასა და სტუდენტს, რომელთა წყალობითაც ეს სამი დღე წარსულის ნაკვალევზე განსაკუთრებული დარჩა ჩემს ცნობიერებაში.

***მაია ქუჭიშვილი,***
***ასოცირებული პროფესორი***

# კვლავ დავბრუნდები

**ქალბატონ** ლამზირა კობაიძის სურვილი იყო, მე-4 კურსის ფილოლოგები ექსკურსიაზე ტაო-კლარჯეთში წავსულიყავით. რადგანაც გასულ წელს მე უკვე ვიყავი ტაო-კლარჯეთში და სწორედ იმ ენით აღუწერელი შთაბეჭდილებების გათვალისწინებით, რაც პირველი მოგზაურობიდან დამრჩა, კიდევ ერთხელ წასვლის სურვილი გამიჩნდა, თანაც, ამჯერად მე ხომ ჩემთვის ძალიან ძვირფას, ახლობელ ადამიანებთან, ჩემს კურსელებთან ერთად მომიწევდა წასვლა. მომინდა, ერთად წავსულიყავით და მათაც ენახათ ცამდე აზიდული ის ტაძრები, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზეა და „გამოგონილ“ საზღვრებს მიღმა მდებარეობენ. სწორედ ამიტომ აქტიურად დავუჭირე მხარი ქალბატონ ლამზირა კობაიძის იდეას და კურსელებს სწორედ ის ტურისტული კომპანია შევთავაზე, რომლითაც გასულ წელს თავად ვიყავი ტაო-კლარჯეთში.

მოგეხსენებათ, სტუდენტებისთვის არც ისე იოლია თანხის შეგროვება და, ალბათ, ჩვენ ვერც შევძლებდით ტაო-კლარჯეთში წასვლას, ჩვენი უნივერსიტეტი რომ არ დაგვხმარებოდა. კურსელებმა თხოვნით მივმართეთ უნივერსიტეტს, თანადაფინანსებით შემოსულიყო და მგზავრობის საფასურის ნაწილით დაგვხმარებოდა. უნივერსიტეტისგან პასუხი და მხარდაჭერა მალევე მივიღეთ, კომპანია treveler.ge-ს და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, სადაც ჩვენი მგზავრობის დეტალები იყო გათვალისწინებული და დოკუმენტის მიხედვით ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, მათ შორის, ჩვენ, სტუდენტებსაც.

ასე შედგა ჩვენი მოგზაურობა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში. როდესაც უკვე ჩავედით და ტაძრების მონახულება დავიწყეთ, ვხედავდი ჩემი კურსელების ემოციებით სავსე თვალებს, ვხედავდი, ყველა ერთნაირად გრძნობდა და განიცდიდა. დიახ, ტაო-კლარჯეთი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ემოცია, ცრემლი და განცდა... იგი მუდამ თავისკენ გიხმობს და გიზიდავს. ორჯერ უკვე ვიყავი ისტორიულ მხარეში და მაინც ვგრძნობ და მჯერა, რომ კვლავ დავბრუნდები.

***ოტია ზედგინიძე,***
***ქართული ფილოლოგიის მე-4 კურსის სტუდენტი***



*რედაქტორი*
მარინე ზედელაშვილი

*სარედაქციო კოლეგია:*
ლიკა ზაზაშვილი, მარიამ სუდაძე, ანა არუთუნიანი

*მისამართი*
ქ. ახალციხე, რუსთაველის 106

*ტელ.:* (+995) 22 890 400 191
*ტელ.:* 599 25 25 68

*ვებ-გვერდი:* www.sjuni.edu.ge